ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 14 ივლისი, 2015 1162 (6782) აფცბ5 №) სტსჰბ

## ნავთობკომპანიები მილიონობით ლარის ჯარიმას გადაიხდიან ფასების ხელოვნურად აწევის გამო


გვ.6

# თინა ხიდაშელი: რუსები საზღვარს ისევე გადაწევენ, როგორც გადმოწიეს“


გვ.4

„მოსკოვის მიზანი ენერგოდერეფნების გაკონტროლება“

## ვახტანგ მაისაია: რუსეთის მთავარი ინტერესი თბილისი-გორის ცენტრალური მაგისტრალის ხელში ჩაგდებაა“

დადგა დრო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენოს ძალის ელემენტი. ასე გულხელდაკრეფილი ყოფნა არ შეიძლება. მე შესწავლილი მაქვს ის ადგილი. იქ მუდმივმოქმედი სტაციონარული ბლოკპოსტები და ჯგუფები არ არის განლაგებული. იქ არის მოძრავი ჯგუფები, რომლებიც მოძრაობენ პერიმეტრზე.


გვ.5

## ჯონდი ბაღათურია: რა სავალდებულოა ყოველ წუთს რუსეთისთვის ოკუპანტის ძახილი?“

გვ.3

„ნინო ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტი დროული იყო“



## რესპუბლიკელებმა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც მოითხოვეს


გვ.2



ვალერი გელბახიანი: „გიგლა აგულაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს“


გვ.2

ხათუნა სამნიძე: „რამდენჯერ უნდა შემრცხვეს საკრებულოს წევრს?“

## თბილისის საკრებულო ფეხბურთის ფედერაციას 300 ბილეთს სთხოვს

ISSN 1987-9385


გვ.4

## ცხინვალში ჯაშუშობაში ბრალდებულ სოტიევას სოხუმში გამოესარჩლნენ

## რიჩარდ ნორლანდი: ჩვენ საქართველოს მხარდაჭერას განვაგრძობთ“


გვ.3

# რესპუბლიკელებმა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც მოითხოვეს

## ვალერი გელბახიანი: „გიგლა აგულაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

ახლო მომავალში შსს ორად გაიყოფა. უკვე ცნობილია, რომ უშიშროების სამსახურის უფროსის პოსტს დღევანდელი შს მინისტრი ვახტანგ გომელაური დაიკავებს. შს მინისტრის სავარძელი კი ოფიციალურად შესთავაზეს სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროს ანზორ ჩუბინიძეს. ერთიც და მეორეც ბიძინა ივანიშვილის კადრია.

გავრცელებული ინფორმაციით, შს მინისტრის პოსტზე პრეტენზია რესპუბლიკურმა პარტიამაც წამოაყენა. ისინი ითხოვენ, რომ პოლიცია გიგლა აგულაშვილმა ჩაიბაროს.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ეს პოსტი ანზორ ჩუბინიძეს შესთავაზეს, რესპუბლიკელები ცოტა ხნით გაჩერდნენ, მაგრამ ახლა ისევ დაუბრუნდათ საბრძოლო განწყობა.

გავრცელებული ინფორმაციით, ანზორ ჩუბინიძემ შს მინისტრის სავარძლის დაკავებაზე ბიძინა ივანიშვილს ოფიციალურად უარი განუცხადა.

ახალი შს მინისტრი ახლა კოალიციამ უნდა დაასახელოს. ამ თანამდებობაზე, რესპუბლიკელების გარდა, პრეტენზია „ქართული ოცნება — დემოკრატიულ საქართველოსაც“ აქვს.



იურისტი ვალერი გელბახიანი ეჭვობს, რომ ამ მიმართულებით „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ რამეს გახდეს. მისი თქმით, ახლა რესპუბლიკელების დროა და ისინი, შსს-ს გარდა, პრემიერის პოსტსაც მოითხოვენ.

როგორი მინისტრი იქნება გიგლა აგულაშვილი და რას იზამენ რესპუბლიკელები, თუ მათი მოთხოვნა არ შესრულდება? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ვალერი გელბახიანი ესაუბრება.

**ვალერი გელბახიანი:**

— ცოტა ხნის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში უკვე აღვნიშნე, რომ რესპუბლიკელები კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან თანამდებობას მოითხოვდნენ. გადის ხანი და მათ შს მინისტრის სავარძელიც მოითხოვეს. თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი პროგნოზები მთლად წყალწაღებული არ ყოფილა.

***— ეს პროგნოზები ხშირ შემთხვევაში ამართლებს და საიდან ეს ინფორმაციები? ერთხელ კი იხუმრეთ, გვირაბი მაქვს გათხრილი ივანიშვილის სასახლემდე და ამ გვირაბის მეშვეობით ვიგებ რაღაცებსო....***

— ამ გვირაბის იქით, არის მეორე მომენტიც. მე და ბიძინა საჩხერიდან ვართ და ეტყობა, ამიტომ ვახერხებ მისი აზრების ამოცნობას.

***— ამბობთ, რომ რესპუბლიკელები შს მინისტრის სავარძელს ითხოვენ. დათანხმდება ამას ივანიშვილი?***

— სხვა გამოსავალი არ არის, უნდა დათანხმდეს. კოალიციის შექმნის დროს ის ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ რესპუბლიკელები ძალაუფლებას აიღებდნენ ხელში. ახლა ვითარება შეცვლილია და ის იძულებულია, დათანხმდეს მათ მოთხოვნას.

***— იძულებული რატომ არის?***

— მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში რესპუბლიკური პარტია კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დატოვებს, რაც სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობას შექმნის. რესპუბლიკელებს, თავისუფალ დემოკრატებთან და ნაციონალებთან ერთად, ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა შეუძლია.

ბიძინა ივანიშვილი იძულებულია, ამას ანგარიში გაუწიოს. გარდა იმისა, რომ ის კოალიციის ლიდერია, ოლიგარქია და მისი მომავალი ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკელებზე. ამ ეტაპზე მას კოალიციიდან ამ პარტიის გასვლა არაფერში აწყობს.



***— ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი შს მინისტრი რესპუბლიკელი გახდება?***

— სწორედ ამას ნიშნავს. ამ თანამდებობის დასაკავებლად კადრიც შერჩეულია. ეს გიგლა აგულაშვილია.

***— თქვენი აზრით, როგორი შს მინისტრი იქნება აგულაშვილი?***

— ძალიან კარგი მინისტრი იქნება. ის პროფესიით იურისტია, თან კარგი იურისტი. მას გილიგაშვილის სკოლა აქვს გამოვლილი და ეს პატარა საქმე არ არის. ამიტომ მგონია, რომ გიგლა კარგი მინისტრი იქნება. ადამიანიც ძალიან კარგია.

***— თუ კარგი მინისტრი იქნება, რატომ არის კოალიციაში ასეთი ნერვიულობა?***

— გიგლა აგულაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს, ის რესპუბლიკელია.

***— როგორც ამბობენ, შს მინისტრის პოსტი „ქართულ ოცნებასაც“ სურს. ამის გამო კოალიციაში რაიმე უთანხმოება ხომ არ მოხდება?***

— შესაძლოა, ვიღაცამ პროტესტი გამოხატოს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ გაანაწყენებს.

***— რა რეაქცია ექნება ირაკლი ღარიბაშვილს? პრემიერს ამ პარტიაზე მზე და მთვარე არ ამოსდის.***

— აქ გადამწყვეტი სიტყვა ყოფილ პრემიერს ეკუთვნის. თანაც ახლო მომავალში რესპუბლიკელები მთავრობის მეთაურის პოსტსაც მოითხოვენ. ეს, სავარაუდოდ, შემოდგომაზე იქნება და, როგორც ერთხელ უკვე გითხარით, ამ თანამდებობაზე დავით უსუფაშვილს წარადგენენ.

***— ამის გამო ხომ შეიძლება, კოალიციაში შემავალმა რომელიმე სუბიექტმა, პროტესტის ნიშნად, უმრავლესობა დატოვოს?***

— შესაძლოა. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რესპუბლიკელების გარდა, ივანიშვილი ყველას შეელევა.

# თბილისის საკრებულო ფეხბურთის ფედერაციას 300 ბილეთს სთხოვს

## ხათუნა სამნიძე: „რამდენჯერ უნდა შემრცხვეს საკრებულოს წევრს?“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საკრებულო საზოგადოების გაოცებას აგრძელებს. მაშინ, როცა ნახევარი თბილისი სუპერთასის ბილეთების შესაძენად ვაკის პარკში ღამეებს ათენებდა (რამდენიმე მათგანმა დაღლილობისგან გონებაც კი დაკარგა), დედაქალაქის საკრებულომ ბილეთები ურიგოდ მოითხოვა.

ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ დილით გავრცელდა. სოციალურ ქსელში დაიდო ის დოკუმენტიც, სადაც ასახულია, როგორ ითხოვს საკრებულო სუპერთასის მატჩზე დასასწრებ 300 ბილეთს.



ამ ინფორმაციას საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. აღშფოთება საკრებულოს ნაწილმაც გამოხატა. მათ ისიც კი არ იცოდნენ, მათი კანტორა ფედერაციისგან რამდენიმე ასეულ ბილეთს რომ ითხოვდა.

— ეს რა არის?! რამდენჯერ უნდა შემრცხვეს, როგორც საკრებულოს წევრს? — ასე გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე ფეხბურთის ფედერაციაში საკრებულოდან გაგზავნილ წერილს.

მოგვიანებით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა. გიორგი ალიბეგაშვილმა აღშფოთებულ ერს ის კეთილი მიზანი გააცნო, რისთვისაც 300 ბილეთს ითხოვდა.

ალიბეგაშვილის თქმით, საკრებულოს მიერ ფეხბურთის ფედერაციისთვის მოთხოვნილი ბილეთების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის გადასაცემად არის განკუთვნილი.

— რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პირადი ინტერესიც იყო, მაგრამ ძირითადად ეს თემა წამოწეული არის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის. ბილეთების შეძენა არ მოხდება სამსახურის ანუ საკრებულოს ხარჯზე, ანუ ეს არის პირადი ანგარიშსწორება. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ბილეთი იქნება გამოყოფილი. მაჟორიტარ დეპუტატებს აქვთ იმ სოციალურად დაუცველთა სია, რომლებსაც ბილეთები უნდა გადაეცეთ, — განაცხადა ალიბეგაშვილმა.

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ჯოხაძე ადასტურებს, რომ მათ ნამდვილად მიმართეს ფეხბურთის ფედერაციას ბილეთების გადაცემის თხოვნით.

მისი განმარტებით, საკრებულომ ბილეთები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოითხოვა.

— საფეხბურთო მატჩზე დასასწრები ბილეთების ელექტრონულ გაყიდვებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, საკრებულომ ფეხბურთის ფედერაციას წერილობით მიმართა, თუმცა, პასუხი მისგან დღემდე არ მიგვიღია. რაც შეეხება საკრებულოს დეპუტატებს, მათთვის ბილეთების გარკვეული რაოდენობა მსგავს მატჩებზე მთავრობისა და სახელმწიფო უწყებებისთვის განსაზღვრული ე.წ. კორპორატიული ბილეთებიდან გამოიყოფა, — განაცხადა ქეთევან ჯოხაძემ.





საკრებულოს გარდა, ფეხბურთის ფედერაციას ბილეთები სხვადასხვა უწყებებმაც მოსთხოვეს. ეტყობა, ისინიც სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნავდნენ.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა მელიას ინფორმაციით, საერთო ჯამში, ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციას 2.500 ბილეთი მოსთხოვა.

სახელმწიფო უწყებების მიერ ფეხბურთის ფედერაციიდან ბილეთების მოთხოვნის ფაქტს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გამოეხმაურა. მისი თქმით, მსგავსი რამ ყველა თამაშზე ხდება.

— ეს არ არის სიახლე და ნორმალური პროცესია. ასე ხდება ყველა თამაშზე, ეს არის კორპორატიული ბილეთები, რომლებიც ყველა თამაშზე გამოიყოფა. ამაში სენსაციური არაფერია. გამოყოფილი იყო 22.000 ბილეთი გულშემატკივრისთვის და ასევე იყო დაახლოებით 5.000 თუ 6.000 კორპორატიული ბილეთი, რომლებიც უეფას მხრიდან იყო გამოყოფილი მთავრობისთვის, — განაცხადა კახა კალაძემ.

# სერგეენკო: თალაკვაძის გადაყენება ცივილურად მოხდა“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სამინისტროში მიმდინარე საკადრო ცვლილებებზე კომენტარი გააკეთა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დავით სერგეენკომ განუცხადა, გაიოზ თალაკვაძის მიერ მინისტრის მოადგილის პოსტის დატოვება ურთიერთშეთანხმებით მოხდა. სერგეენკოს თქმით, თალაკვაძის შემცვლელის პოსტზე რამდენიმე კანდიდატზე მიმდინარეობს მსჯელობა, თუმცა დღეის მდგომარეობით, კონკრეტული შემცვლელი გამოკვეთილი არ არის.

მინისტრის განცხადებით, გაიოზ თალაკვაძემ სამინისტროში მუშაობის პერიოდში მნიშვნელოვანი და მძიმე სამუშაო შეასრულა. ხელმძღვანელობდა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რამდენიმე თვის განმავლობაში კი მინისტრის მოადგილის პოზიციაზე იმუშავა.

— ამ პერიოდში მან მართლაც ბევრი მნიშვნელოვანი შედეგის დადება შეძლო, თუმცა ასეთი ტიპის სამუშაოები ხშირად მოითხოვს აქტივების ცვლილებას და სწორედ ეს ცვლილება განხორციელდა ბოლო დღეებში. ეს იყო ურთიერთშეთანხმებით, ორივემ ერთად ცივილურად გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ასეთი მოვქცეულიყავით, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, თამარ ბოდოკიას საკითხს, მინისტრის ინფორმაციით, თამარ ბოდოკია ამჟამად შვებულებაშია.

— ბოდოკია დღეის მდგომარეობით შვებულებაშია. როდესაც გამოვა შვებულებიდან, გადავწყვეტთ, შემდგომში როგორ გავაგრძელებთ, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ჯონდი ბაღათურია: რა სავალდებულოა ყოველ წუთს რუსეთისთვის ოკუპანტის ძახილი?“

## „ნინო ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტი დროული იყო“

ნონა ცაბაძე

რა მიზნით იმყოფებოდა ბურჯანაძე მოსკოვში, ვიზიტი შეთანხმებული იყო თუ არა ივანიშვილთან, როგორ აღიქვა საზოგადოებამ ბურჯანაძის კრემლში ჩასვლა? — ამ და სხვა საკითხებზე ახალი თაობა „ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა, რომელიც თავადაც გეგმავს კრემლში ვიზიტს.

***— ბატონო ჯონდი, ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტს დიდი გამოხმაურება და უკმაყოფილო შეფასებები მოჰყვა. ითქვა, რომ ის მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის ეწვია კრემლს და არ დააფიქსირა საკუთარი ქვეყნის პოზიცია. როგორც მისი თანაგუნდელი, როგორ უპასუხებთ ამ ბრალდებებს?***

— ვინ თქვა ასეთი სისულელე?! მიმაჩნია, რომ ნინო ბურჯანაძის ვიზიტი იყო დროული, ეს იყო სწორი და გაბედული გადაწყვეტილება. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რომ უკმაყოფილება გამოიწვიაო, უკმაყოფილება საზოგადოებაში კი არ გამოიწვია, არამედ პოლიტიკურ სპექტრში.

***— პოლიტიკური სპექტრიც ჩვენი საზოგადოების ნაწილია.***

— ნაწილობრივ ეს უკმაყოფილება განაპირობა ინტელექტუალურმა სიღატაკემ და, მეორე მხრივ, შურმა.

***— რა შეშურდათ? ბურჯანაძე რომ მოსკოვში ჩავიდა?***

— მოდით, განვსაზღვროთ, რამ განაპირობა რუსეთის ხელისუფლებასა და ქართულ ოპოზიციას შორის დიალოგის დაწყება. რატომ არ დაიწყო დიალოგი ხელისუფლებასა და რუსეთის ხელისუფლებას შორის?!

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ სამ წელიწადნახევრის განმავლობაში, ქართველი საზოგადოებაც, რუსეთის ხელისუფლებაც და საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ჯანმრთელი და გონიერი ნაწილი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნაწილი, ველოდებოდით, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც შექმნა აბაშიძისა და კარასინის ფორმატი, რაც თავის დროზე პროგრესული ნაბიჯი იყო, დაიწყებდა პირდაპირ დიალოგს რუსეთის ხელისუფლებასთან, კიდევ სხვა პოლიტიკურ საკითხებზე, გარდა ქინძისა და ოხრახუშის გაყიდვისა. თუმცა ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ ეს დიალოგი არ დაიწყო. ვერ გაბედა ამ დიალოგის დაწყება.

***— რატომ, რისი შეეშინდა?***

— განა თავად არ ესმით, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ეს აუცილებელია, მაგრამ ამერიკელი პატრონების შიშით ვერ გაბედეს, რომ დაეწყოთ პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, ყოველგვარი შუამავლების და მაჭანკლების გარეშე.

***— სწორედ ნინო ბურჯანაძის ვიზიტს დაემთხვა სახელმწიფო საზღვრის გადმოწევა რუსული მხარის მხრიდან და ამაზე ნინო ბურჯანაძეს პროტესტი რატომ არ გაუჩნდა? რატომ ერთხელაც არ უხსენებია, რომ რუსეთი ოკუპანტია? ამას რით უპასუხებთ?***

— უკიდურესი სიბრიყვის მაჩვენებელია ასეთი შეფასება ჩვენი ოპონენტების მხრიდან! ეს არ არის საზოგადოების შეფასება. ეს არის ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ნაციონალური მოძრაობის შეფასება და ასევე ამერიკელების შიშით დაკომპლექსებული და ცოტა შურით გაღიზიანებული „ქართული ოცნების“ შეფასება. ასევე იმ განაწყენებული ოპოზიციონერების, რომლებსაც სულით და გულით უნდოდათ ნინო ბურჯანაძესთან ალიანსი, მაგრამ ისეთი შეცდომები დაუშვეს, რომ ეს გამორიცხული იყო. მეც კარგად ვიცი, ვინ ავრცელებს მსგავს ინფორმაციებს. რაც სრული სიბრიყვეა და ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებაც არ ღირს. ქართველ საზოგადოებაში მე ასეთი უკიდეგანო სიბრიყვე არ აღმომიჩენია.

***— რატომ, რა არის სიბრიყვე?***

— რა კავშირი აქვს ბურჯანაძის იქ ჩასვლას მავთულხლართების გადმოწევასთან?! ეს პროცესი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობს.

***— მის ვიზიტს დაემთხვა და ამაზე არ ჰქონდა რეაგირება.***

— რა რეაგირება უნდა ჰქონოდა ნინო ბურჯანაძეს მავთულხლართების გადმოწევაზე?! კრემლში უნდა შეჭრილიყო? თავს დასხმოდა ვინმეს თუ რა რეაგირებას მოითხოვენ მისგან?!

***— არ შეეძლო, იმ კონფერენციაზე გამოეხატა უარყოფითი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ?***

— თქვენ რა იცით, რომ არ ჰქონდა ამ თემებზე ლაპარაკი?! მთავარი თემა დიალოგის არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სხვაგვარად ჩვენ არ განვიხილავთ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნინო ბურჯანაძე იქ ჩავიდოდა, ფოკუსს ჩაატარებდა და ყველაფერს ერთ დღეში დაალაგებდა, მავთულხლართებსაც გადასწევდა და ჯარებსაც გააყვანინებდა, ეს ასევე ინტელექტის სრული სიღატაკის, გონებრივი სიმწირის მაჩვენებელია! ეს ნინო ბურჯანაძის დიალოგი კი არ არის, ქართული ოპოზიციის ერთი ნაწილის, ჯანსაღი ნაწილის დიალოგია რუსეთის ხელისუფლებასთან.

***— ამ ჯანსაღ ოპოზიციაში თქვენს თავსაც მოიაზრებთ? თავადაც ხომ არ გეგმავთ მოსკოვში ვიზიტს?***

— ჩემ თავსაც და სხვებსაც. დიახ, სწორედ ამ თვის ბოლოს გადაწყდება ჩემი მოსკოვში ვიზიტის ზუსტი თარიღი. მეც აუცილებლად ჩავალ იქ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ამაში ჩვენც ვმონაწილეობთ.



***— რუსეთი, რომელიც ოკუპანტია და რატომღაც ერიდებით ამ ტერმინის გამოყენებას...***

— რა თქმა უნდა, რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, სამაჩაბლოში და აფხაზეთში, არის უსამართლობა და ასევე რუსეთის მხრიდან დაშვებული პოლიტიკური შეცდომა.

***— რატომ არ ახსენებთ სიტყვა ოკუპანტს, ნინო ბურჯანაძის მსგავსად? აკრძალულია ამ სიტყვის გამოყენება?***

— რა გჭირთ, დამასრულებინეთ! ეს რომ არის შეცდომა, ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ ძალიან ღიად ილაპარაკა. ეს შეცდომები ორმხრივი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. დანარჩენი, დიპლომატიური ენა და მოლაპარაკებების პროცესი, ვისთანაც არ უნდა ლაპარაკობდე, არ გულისხმობს იმას, რომ ჩასვლისთანავე გამოაცხადო: შენ ხარ ოკუპანტი! შენ ხარ მტერი, აგინო, ლანძღო და მერე დაიწყო მოლაპარაკება და ურთიერთობა?!

***— როგორ, ამხელა ომი, ამხელა მსხვერპლი, ამხელა ტერიტორიების დაკარგვა და ამას მხოლოდ შეცდომას უწოდებთ?***

— ამხელა ტერიტორიების დაკარგვაო და რის ხარჯზე მოხდა ეს? რუსებმა ერთ მშვენიერ დღეს ცუდი სიზმარი ნახეს და თავს დაგვესხნენ?! ამას წინ პროცესი ხომ უძღოდა, საფუძველი ხომ ჰქონდა?! სწორედ ამიტომ ვხსნი, რომ ურთიერთობებში იყო ორმხრივად დაშვებული შეცდომები! რაც შეეხება რუსული საჯარისო ნაწილების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველი ხალხის თანხმობის გარეშე, რა თქმა უნდა, ეს საერთაშორისო ნორმების სრული დარღვევაა! არის უსამართლობა და უკანონობა! რაც ასევე სრულიად შეუფერებელია ორი ერთმორწმუნე, ბუნებრივად მოკავშირე ერების ურთიერთობისთვის. მე არ ვამბობ, რომ ჩვენი შეცდომა რუსეთის გამართლებას ნიშნავს. პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილი სრულ სიბრიყვეს იჩენს, როდესაც აცხადებს, რომ არ დაველაპარაკებით, სანამ რუსული ჯარი არ გავაო. თუ არ დაელაპარაკე, როგორ გავა?!

***— როგორც შემოვიდა.***

— ტანკით და ავიაციით?! სხვა გზა არ არის, ან ჭკუით უნდა გაიყვანო, ან ძალით. ძალით ვერ ვაჯობებთ, ანუ ჭკუით უნდა გავიყვანოთ. და ჭკუა რაში მდგომარეობს? რუსეთის ლანძღვაში?! ოკუპანტი უნდა დაარქვა და მერე შეიძლება მასთან საუბარი? რა, ეს ოკუპანტი რამე ჯადოსნური სიტყვაა?!

***— ეს არის რეალობა.***

— მერე და ეს კარს გვიღებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ?! მე ამ შეკითხვას ვსვამ. რა სავალდებულოა ყოველ წუთში ოკუპანტის ხსენება?! ოკუპაცია რას ნიშნავს? ამის პირდაპირი თარგმანია საჯარისო ნაწილების დროებითი ყოფნა სხვის ტერიტორიაზე და უკანონოდ. მე ერთიც ვთქვი და მეორეც. ანუ სიტყვა ოკუპაცია, რომელიც ბარბარიზმია და ქართული თარგმანით ამას გულისხმობს. ეს ძალიან გასაგებად განმარტა ნინო ბურჯანაძემ რუს პოლიტიკოსებთან შეხვედრისას.

***— რა შედეგს მიაღწია ამ შეხვედრებით?***

— ეს იყო საკმაოდ წარმატებული ვიზიტი და ეს არის კარგი დასაწყისი რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის, მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების აღდგენის, საკმაოდ რთულ გზაზე. ეს იყო პირველი წარმატებული ნაბიჯი!

***— დაფინანსება არ მიუღია რუსეთიდან?***

— ასეთ უკიდურეს სისულელეზე კომენტარის გაკეთებაც არ ღირს! როგორ ფიქრობთ, ფინანსების მოსაძიებლად რომ ჩასულიყო, ვერ მოახერხებდა ისე ჩასვლას, რომ ეს მჩხავანა პოლიტიკოსებს არ გაეგოთ?! ფინანსებისთვის ჩასვლა ასე არ ხდება, კონფერენციებზე! ბურჯანაძე იქ იყო რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარის მიწვევით ჩასული. ერთ-ერთი მთავარი თემა კი იყო უსაფრთხოება და გამოწვევები 21-ე საუკუნეში. ეს იყო საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოს ხელისუფლებას კი არ ეყო გამბედაობა, რომ ასეთ პროექტებში მონაწილეობა მიეღო.

***— არსებობს კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ივანიშვილის დავალებით ჩავიდა. ამის თაობაზე რას იტყვით?***

— ეს ინფორმაცია აბსოლუტურად არარეალურია, თუმცა მინდა ვთქვა, რომ თუ ხელისუფლება გამოიყენებს ბურჯანაძის ვიზიტის შედეგებს და გამოიყენებს ბურჯანაძის კონტაქტებს და გამოცდილებას, ეს ძალიან კარგი იქნება. ივანიშვილთან რომ ყოფილიყო ეს ვიზიტი შეთანხმებული, ეს ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა.

***— ანუ მსგავსი რამ არ ყოფილა?***

— სამწუხაროდ, არ ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ არ შევთანხმებულვართ ხელისუფლებასთან, ისე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბურჯანაძის წასვლის შესახებ. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაც რომ მონაწილეობდეს ამაში, კარგი იქნებოდა. ვიზიტები კიდევ იქნება და არა მხოლოდ ნინო ბურჯანაძის. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი კონფერენცია იყო.

***— კი მაგრამ, როცა არ ჩანს აქ ხელისუფლების ნება, ხელისუფლება არ ელაპარაკება ამ ქვეყანას, რა აზრი აქვს, მსგავს კონფერენციებს დაესწრება თუ არა ოპოზიცია?***

— აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სამი წლის განმავლობაში, როცა ამერიკელების შიშით დაკომპლექსებულმა ხელისუფლებამ ვერ გადადგა ნაბიჯი, რადგან ვერ გაბედა რეალური დიალოგის წამოწყება რუსეთთან, რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ეს დიალოგი აწარმოოს მომავალ ხელისუფლებასთან, ანუ ოპოზიციასთან! ოპოზიციის განმარტებითი სახელი არის მომავალი ხელისუფლება. როცა არსებული ხელისუფლება ყველა იმედს გაკარგვინებს, მერე იწყებ დიალოგს მომავალ ხელისუფლებასთან.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ბურჯანაძე მომავალი ხელისუფლებაა?***

— მე გითხარით სიტყვა ოპოზიციის განმარტება, რას ეძახიან ევროპელები ოპოზიციას. რაც შეეხება ზოგადად ჩვენი კოალიციის პერსპექტივას, ამ მოცემულობაში, გარდაუვალია ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლა! ჩვენ თუ რაიმე მნიშვნელოვანი შეცდომები არ დავუშვით, ყველაფერი იქითკენ მიდის ბუნებრივად და ხელისუფლებაც ხელს უწყობს ამ პროცესს, რომ მოვიდეთ ხელისუფლებაში. სწორედ რომ უნდა მოვიდეთ, სხვა გზა აღარ არის!

***— თუ მნიშვნელოვანი შეცდომები არ დავუშვითო და ბურჯანაძის ეს ვიზიტი არ იყო შეცდომა?***

— მე მესმის, რომ თქვენ ჟურნალისტი ხართ და ის შეკითხვები უნდა დასვათ, რის დასმასაც ჩვენი ოპონენტები ცდილობენ. თუმცა ასეთ აბსურდში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია! შუა აზიის ქვეყნები განვითარდნენ და ჩვენ ერთ ადგილზე ვართ გაყინულები. უკან მივდივართ. ხელისუფლება კარგავს ტერიტორიებს, ხალხი გაღატაკებულია, 45%-ზე მეტი არის სიღატაკის ზღვარს მიღმა, ხალხის ქონება დაყადაღებული აქვს ბანკებს. ოლიგარქები მოდიან ხელისუფლებაში. გადახედეთ პარლამენტს, დეპუტატების უმრავლესობა მილიონერი და მილიარდერია! საკუთარ სამშობლოს ვკარგავთ, ხალხო. რა ვქნათ, ივანიშვილს და ღარიბაშვილს ველოდოთ, როდის გაიღვიძებენ და დაიწყებენ ხალხზე და სახელმწიფოზე ზრუნვას?! ველოდეთ ამდენი ხანი და რა გააკეთეს?! არ ყოფნით ეს მილიარდები და ახლა გადაწყვიტეს, ამ გაღატაკებულ ხალხს ელექტროენერგიის და გაზის ტარიფი 30%-ით გაუძვირონ. ეს ნიშნავს ქვეყნის დაქცევას! 15 ივლისსაა დანიშნული მარეგულირებელი კომისიის სხდომა და სწორედ იქ აპირებენ ასეთი საშინელი გადაწყვეტილების მიღებას. ყველანი გამოდით ქუჩაში და ერთად დავუპირისპირდეთ ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ დაქცევას.

***— და თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის ხსნა რუსეთშია?***

— ხსნა არის ღმერთში და ქართველების ერთიანობაში. ასევე ეროვნული ხელისუფლების, ხალხზე მოფიქრალი ხელისუფლების არჩევაში. ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი სწორედ რომ მხარს უჭერს რუსეთთან დიალოგის გზით ურთიერთობების აღდგენას და, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ამიტომ ჩვენ საზოგადოების დიდი ნაწილის დაკვეთას ვასრულებთ.

## რიჩარდ ნორლანდი: ჩვენ საქართველოს მხარდაჭერას განვაგრძობთ“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, საქართველოს დამცირების მცდელობა ისევ გრძელდება, სიტუაცია არ შეცვლილა და ხდება სწორედ ისევ ის, რაც აქამდე ხდებოდა.



მანვე აღნიშნა, რომ ამერიკასაქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს და ღიად აღიარებს, რომ ეს საქართველოს სუვერენული ტერიტორიაა.

ეს კომენტარი ელჩმა, გამყოფი ზოლისა და ე.წ. სასაზღვრო ბანერების აღმართვის შესახებ გააკეთა.

**რიჩარდ ნორლანდი:**

— მდგომარეობა იგივეა, გრძელდება ის რაც აქამდე ხდებოდა. მეორე მხრივ კი, ეს არის საქართველოს დამცირებისა და პროვოკაციების მცდელობა. ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია ისევ უცვლელი რჩება. ჩვენ საქართველოს მხადაჭერას განვაგრძობთ და ღიად ვაცხადებთ, რომ ეს საქართველოს სუვერენული ტერიტორიაა, — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები უკანონოდ აღიმართა.

ორივე ტერიტორიის სიახლოვეს ბაქო-სუფსას მილსადენის გარკვეული სეგმენტები მდებარეობს და განხორციელებული უკანონო ქმედებით სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი
☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თინა ხიდაშელი: რუსები საზღვარს ისევე გადაწევენ, როგორც გადმოწიეს“

## „მოსკოვის მიზანი ენერგოდერეფნების გაკონტროლებაა“

შორენა მარსაგიშვილი



რუსები მცოცავ ოკუპაციას აგრძელებენ. გარდა იმისა რომ მათ ნავთობსადენის ნაწილი საკუთარ საზღვრებში მოაქციეს, აგტობანს 450 მეტრით მიუახლოვდნენ. ხელისუფლება მომხდარს მაქსიმალური გაგებით ეკიდება და ყველაფერს ავადსახსენებლ 9 წელს უკავშირებს. ოპოზიცია კი თავის მხრივ ხელისუფლებას უუნარობაში ადანაშაულებს.

ყველაზე ოპტიმისტურად ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელია განწყობილი. ამირსპასალარის განცხადებით, მოსკოვს მალე უკან მოუწევს გადმოწეული საზღვრების გადაწევა.

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, სამწუხაროდ, იმიტომ, რომ ეს მცოცავი ანექსია სახეზეა 2008 წლიდან მოყოლებული. ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია და 2 კილომეტრით მეტს თუ გადმოწევენ საზღვარს და 20 მეტრით გადმოიწევიან რუსები, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ იმავე ხაზის გაგრძელებაა, რაც ქვეყანაში ხდება, სამწუხაროდ. საქართველო ამ 20 მეტრს ან 2 კილომეტრს არა, იმ 20%-ს დაიბრუნებს და რუსებს თავად საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსპარანტების უკან, საქართველო-რუსეთის ოფიციალური საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვრისკენ გადაწევა, — აღნიშნა ხიდაშელმა.

შედარებით უფრო აღშფოთებულია პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე. მისი თქმით, რუსეთის პროვოკაციულმა ქმედებამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კიდევ ერთხელ დაარღვია.

— მინდა გამოვეხმაურო საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. საოკუპაციო ხაზის გადმოტანას, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან იმ პროვოკაციულ ქმედებას, რომელმაც კიდევ ერთხელ დაარღვია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, ჩვენი მოქალაქეების, ადგილობრივი მცხოვრებლების უფლებები, განსაკუთრებით საოკუპაციო საზღვართან ახლოს მცხოვრები ადამიანის უფლებები. ეს არის ჩვენი შფოთვის და განსაკუთრებული წუხილის საგანი, — განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისივე ინფორმაციით, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს. მომხდარზე ინფორმირებულია ყველა საელჩო და პარტნიორები როგორც ბრიუსელში, ისე ეუთო-სა და გაერო-ში.

— არის მოწოდება, რომ მოხდეს რუსეთის ფედერაციისადმი მიმართვა, რათა ეს ქმედებები მშვიდობიან ფორმატში იყოს აღკვეთილი — ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების მონაწილეობით, — აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

რუსების ქმედებას სხვა მიზნებს უკავშირებს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი.

მისი თქმით, რუსეთი ენერგოდერეფნების კონტროლთან დაკავშირებული გეგმის განხორციელების მისწრაფებას გამოხატავს.

— ის, რისი მოწმენიც ვართ, მნიშვნელოვანწილად და ახლა უფრო განსაკუთრებით ქართულ-რუსული ურთიერთობების თემას სცილდება. აქ უკვე აშკარად იგრძნობა, რომ საზღვრის მიღმა მოქცეულია ის მილსადენი, რომელიც ალტერნატიულია. ენერგორესურსების ტრანსპორტირებაზე ის მექანიზმი მყარდება, რაზეც საქართველოს ხელისუფლებას აშშ და ევროკავშირი ჯერ კიდევ 2006 წელს და 2007 წელს აფრთხილებდნენ. სამხედრო ბაზებით ჩრდილოკავკასიის ზურგის გაძლიერებასთან ერთად, რუსეთი ყველა ხელშეკრულებას არღვევს და უკვე აშკარად გამოხატავს თავის მისწრაფებას იმ სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, რაც ენერგოდერეფნების კონტროლს შეეხება, — ამბობს ვოლსკი.

მისი თქმით, ეს ყველაფერი რუსეთს 2006 წელს, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ჰქონდა ჩამოწერილი, რომელიც 2020 წლამდეა დამტკიცებული.

— ასე რომ, ჩვენ სწორედ ამ კუთხით უნდა ვიფიქროთ და საერთაშორისო თანამეგობრობაც იმ პოზიციაზე დადგეს, რომ რუსეთი თავისი ოკუპაციით არამარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო ინტერესებს უპირისპირდება, — განაცხადა „ქართული ოცნების“ თავკაცმა.

დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი პარლამენტის სხდომების დღის წესრიგში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის პროექტის შეტანას ითხოვს. მან შესაბამისი განცხადება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა.

— უნდა განვიხილოთ ის შესაძლო ღონისძიებები, რომლებიც აუცილებლად არის გასატარებელი საერთაშორისო დონეზე. მთავრობასთან ერთად მოგვეცემა საშუალება, ვიმსჯელოთ, რა დამატებითი ბერკეტები და საშუალებები აქვს ჩვენს ქვეყანას იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევაში მომავალში მაინც შევაჩეროთ ეს პროცესები, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

მის წინადადებას ვოლსკი გამოეხმაურა. მისი მოსაზრებით, ამ თემით სპეკულირება დაუშვებელია.

— რაც არ უნდა დაპირისპირებული ვიყოთ ბევრ საკითხებთან დაკავშირებით, არ უნდა დავუშვათ ამ თემით სპეკულაციის რაიმე შესაძლებლობაც კი. ვფიქრობ, უნდა დაველოდოთ ინფორმაციას ზურაბ აბაშიძისაგან, პაატა ზაქარეიშვილისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყების სტრუქტურების ხელმძღვანელებისაგან და შემდეგ მივიღოთ მომავალზე სტრატეგიულად გათვლილი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, ორშაბათისთვის, 20 ივლისისთვის, კომისიის ფორმატში უნდა შევიკრიბოთ, რათა შემდეგი რიგგარეშე სხდომისთვის ჩამოყალიბებული პოზიცია გვქონდეს, — განაცხადა ვოლსკიმ.

ამავე აზრს იზიარებს პარლამენტის წევრი ზვიად კვაჭანტირაძეც, რომლის თქმით, პარლამენტმა თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს, მაგრამ ზურაბ აბაშიძეს დაელოდოს და მისგან ამომწურავი და სწორი ინფორმაცია მიიღოს.

ნაციონალური მოძრაობა ორჭოსანთან განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას მთავრობას აკისრებს. მათი ღრმა რწმენით, მომხდარი გამოწვეულია იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკით, რომელსაც ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობისას ახორციელებს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი აკო მინაშვილის თქმით, ის რაც ხდება „ქართული ოცნების“ უპრინციპო და ლაჩრული პოლიტიკის შედეგია.

დეპუტატი ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს მიერ ორჭოსანთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებასაც აკრიტიკებს.

— ეს არის „ქართული ოცნების“ უპრინციპო და ლაჩრული პოლიტიკის შედეგი, რომელიც მათ აქვთ რუსეთთან მიმართებაში. ბიძინა ივანიშვილს საკუთარი რეზიდენცია აქვს გამაგრებული, ასობით პოლიციელი იცავს. ის ტერიტორიები, რომელიც საფრთხის ქვეშ არის, იქ არცერთი პოლიციელი არ დგას. ჩვენ ვნახეთ კახი კალაძის სამარცხვინო განცხადება. იმის ნაცვლად, რომ მას პრინციპული პოზიცია დაეკავებინა, მან თქვა, რომ თურმე ალტერნატიული გზები არსებობს ნავთობსადენის გაყვანის, რაც ნიშნავს, რომ ეს არის რუსეთისთვის მწვანე შუქი, რათა კიდევ უფრო შემოიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე, — განმარტა აკო მინაშვილმა.

კახა კალაძის განცხადების გამო ხელისუფლება საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც გააკრიტიკა.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით რუსეთის მხრიდან პროვოკაციული ქმედებები მოულოდნელი და გასაკვირი არ არის, მაგრამ არაადეკვატურია ამ ქმედებებზე საქართველოს მთავრობის რეაქცია და პასუხი.

როგორც მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება პრობლემის მოსაგვარებლად არ იყენებს არც შიდა და არც გარე ინსტრუმენტებს:

— რუსეთი იქცევა ყოვლად მიუღებლად, ეს არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა და ეს არის რეგიონში სიტუაციის გამწვავების მცდელობა, მაგრამ ამასთანავე საქართველოს მთავრობის რეაქცია და პასუხი არის არაადეკვატური. საქართველოს მთავრობამ მხოლოდ განცხადებები კი არ უნდა აკეთოს და დონალდ ტუსკის ჩამოსვლას კი არ უნდა დაელოდოს, არამედ პირველი წუთიდან აქტიურად უნდა ემოქმედათ, იმისათვის რომ რეაქცია ყოფილიყო დროული და მძაფრი პრეზიდენტს, პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს პირდაპირი კომუნიკაცია უნდა დაემყარებინათ თავიანთ კოლეგებთან. ამის მაგივრად მათ ერთი-ორი შეხვედრა ჩაატარეს და ერთი-ორი განცხადებით შემოიფარგლნენ, ჩვენ მათთვის დატოვებული გვქონდა ისეთი სიტუაცია, რომ უმაღლეს დონეზე ზარების განხორციელება თავისუფლად შეეძლოთ, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.




# ცხინვალში ჯაშუშობაში ბრალდებულ სოტიევას სოხუმში გამოესარჩლნენ

## „ცხინვალში ანადგურებენ ადგილობრივ ინტელიგენციას“

მარიამ მჭედლიშვილი




„ახალმა თაობამ“ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმაზე, რომ ცხინვალში დიდი ბრიტანეთის ჯაშუშობაში ამხილეს საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერნეიშენელ ალერტის“ თანამშრომელი ლარისა სოტიევა.

ლარისა სოტიევას, რომელიც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქალაქე და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომია, ბრალდება წაუყენეს და ცხინვალში საქმიანობა აუკრძალეს ადგილობრივმა სპეცსამსახურებმა.

ბოლო მონაცემებით, ლარისა სოტიევას წინააღმდეგ უსამართლო მოქმედებებზე განცხადება გააკეთა „ინტერნეიშენელ ალერტმა“. მას გამოესარჩლნენ ასევე ცხინვალელი ჟურნალისტები და სოხუმის ინტელიგენციაც კი.

რაში დაადანაშაულეს სოტიევა? ცხინვალის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ვერსიით, ლარისა სოტიევას საქმიანობა წინააღმდეგობაში მოდის სამხრეთ ოსეთის ეროვნულ ინტერესებთან. ადგილობრივი სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ სოტიევა ემზადებოდა ისეთი პროექტებისათვის, რომლებსაც სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობისათვის უნდა გაეცნო სოციალური საპროტესტო ინჟინერია, რაც გახდებოდა „ნარინჯისფერი ტექნოლოგიების“ რეალიზაციის საფუძველი. გარდა ამისა, სოტიევა ამხილეს ბრიტანეთის სასარგებლოდ ინფორმაციის შეგროვებაში. ინფორმაცია, ძირითადად, ეხებოდა წინააღმდეგობებს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში.

— ბრალის დადება იმაში, რომ ლარისა სოტიევას მოქმედებები მიზნად ისახავს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების შერყევას, უსაფუძვლოა, — ნათქვამია საერთაშორისო არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია „ინტერნეიშენელ ალერტის“ განცხადებაში.

ორგანიზაცია დაუმსახურებელს და შემაშფოთებელს უწოდებს ლარისა სოტიევას რამდენიმესაათიან დაკითხვას ცხინვალის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

— ლარისა სოტიევას მთელი ომისშემდგომი საქმიანობა სამხრეთ ოსეთში მიმართული იყო მშვიდობის განმტკიცების, ასევე უბრალო ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, — აცხადებს ლონდონში დაარსებული არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია.

ცხინვალელი პუბლიცისტის, ალან ცხურბაევის შეფასებით, ლარისა სოტიევასათვის საქმიანობის აკრძალვა სხვა არაფერია, თუ არა „ადგილობრივი ინტელიგენციის განადგურება“.

ლარისა სოტიევას თანადგომა გამოუცხადეს ასევე „ეხო კავკაზასთან“ საუბარში ცხინვალის გაზეთ „ოცდამეერთე საუკუნის“ მთავარმა რედაქტორმა თემურ ცხურბათმა და აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრმა არდა ინალ-იპამ.

**თემურ ცხურბათი:**

— ლარისა სოტიევას მიმართ ნებისმიერი პრეტენზია მოკლებულია საფუძველს. მას მავნებლებს მიაკუთვნებენ იმ დროს, როცა იგი ცდილობს ჩვენთვის მოკავშირეების მოძიებას ევროპაში.

**არდა ინალ-იპა:**

— ლარისა სოტიევას კარგად იცნობენ აფხაზეთში. ის აქ პატივისცემითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მისი ყოველი ჩამოსვლა აფხაზეთში ნიშნავს საინტერესო შეხვედრებს და დახმარების გაწევას ინიციატივიანი ადამიანებისათვის. ეს ყოველთვის იყო საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებას.

ლარისა სოტიევა, რომელიც „ინტერნეიშენელ ალერტის“ ევრაზიის პროგრამების თანამშრომელია, მომხდარზე არ საუბრობს. საოკუპაციო რეჟიმის სპეცსამსახურების მტკიცებით, სოტიევას უნდა მოემზადებინა და გაეწვრთნა ცხინვალელი ექსპერტები, რომლებიც შემდეგ ქართული მხარის წარმომადგენლებს შეხვდებოდნენ.

როგორც ჩანს, ოსური სპეცსამსახურები ქართველებთან შესაძლო კონტაქტებმა დააშინა. შიში იმდენად დიდია, რომ ისინი არ მოერიდნენ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებასაც კი. არადა, ბოლო წლების საქმიანობის მთავარ მიზნად სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა ჰქონდათ გამოცხადებული.

ასე თუ გააგრძელეს, ცხინვალის ხელისუფლები ისე შეარყევენ თავიანთ რეჟიმს, რომ ვერავისზე ნადირობას ვეღარ შეძლებენ.

# ვახტანგ მაისაია: რუსეთის მთავარი ინტერესი თბილისი-გორის ცენტრალური მაგისტრალის ხელში ჩაგდებაა“

გულიკო ბალაძე

რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების მცოცავ ოკუპაციას. რუსმა სამხედროებმა შიდა ქართლში ე.წ. საზღვარი ზოგან 300 მეტრით, ზოგან კი კილომეტრნახევრით ქვეყნის შიგნით გადმოწიეს და მიუახლოვდნენ სტრატეგიულ ობიექტს, ნავთობსადენს.

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ რუსეთს სურს დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალი გორთან გადაკეტოს, მანამდე კი სტრატეგიულ ობიექტზე კონტროლი მოიპოვოს, ამიტომ მის დასაცავად საქართველოს სახელმწიფომ სამხედრო ელემენტის გამოყენებასაც კი არ უნდა მოერიდოს, ანუ ადმინისტრაციული საზღვარი უნდა დაიცვას.

ვახტანგ მაისაია მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, ამ საკითხის განსახილველად სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭო.

***— ბატონო ვახტანგ, რუსეთმა შიდა ქართლში გააგრძელა მცოცავი ოკუპაცია, სასაზღვრო ბოძები კილომეტრნახევრით შიგნით დაამონტაჟა. რას შეიძლებოდა გამოეწვია რუსეთის ხელახალი მადის გაღვიძება? მაშინ, როცა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ე.წ. უსაფრთხოების კონფერენციაზეა მიწვეული და იქიდან გვმოძღვრავს, რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს დიდი სურვილი აქვთ, საქართველოს პირველ პირებს შეხვდნენ პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის (საქართველოს პირველ პირებს კი ვაჟკაცობა არ ჰყოფნით, პირდაპირი მოლაპარაკებები აწარმოონ). ამ კონტექსტში საზღვრის გადმოწევა რას უნდა ნიშნავდეს?***

— თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ რუსეთი ამას გააკეთებდა. ფაქტობრივად, რუსეთის მთავარი ინტერესი იყო თბილისი-გორის მაგისტრალის გადაკეტვა.

***— თქვენ ამას ამბობდით, მაგრამ ცოტა დაუჯერებლად ჟღერდა.***

— სამწუხაროდ, ცუდი პროგნოზი ახდა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მონაკვეთი უკვე გადასულია რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ორჭოსანთან მოხდა ე.წ. საზღვრის დაფიქსირება. მე ეს ტერიტორია საკუთარი ფეხით მაქვს მოვლილი. კარგად ჩანდა, რომ ორჭოსანთან რუსები დაიწყებდნენ სტრატეგიული ხაზის გადმოწევას. რუსეთის მთავარი ინტერესია, თბილისი-გორის ცენტრალური მაგისტრალის ხელში ჩაგდება და, შესაბამისად, თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვა არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში. როგორც ჩანს, ეს რუსეთის მხრიდან არის საქართველოს წინააღმდეგ გეოპოლიტიკური შანტაჟის პოლიტიკა. საქართველო აგრძელებს სვლას ნატოსა და ევროკავშირისაკენ, რაც რუსეთისთვის მიუღებელია, რადგან რუსეთი და დასავლეთი უკვე გადავიდნენ ცხელ დაპირისპირებაშიც კი. ფაქტობრივად, ახალი ცივი ომი მიმდინარეობს, რაც თანდათანობით ღებულობს „ცხელ“ ფორმას. ამას მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რამდენიმე დღის წინ დაიჭირეს რუსული სამხედრო თვითმფრინავები ამერიკისა და კანადის კონტროლირებად საჰაერო სივრცეში. მეორეც — რუსეთმა დაიწყო ახალი ბალისტიკური რაკეტების განთავსება, რაც ასევე მიმართულია ამერიკის წინააღმდეგ. მან უკვე შეიძინა 30 ბალისტიკური რაკეტა, ტოპოლი-მ-ისა და იარსის ტიპის, რომელსაც შეუძლია 11 ათას კილომეტრამდე 100-მდე ბირთვული ქობინის გადატანა. ამავე დროს რუსეთი უკვე პირდაპირ უქნევს მუშტს დასავლეთს და ემუქრება, რომ რუსეთი მზად არის ნატოსთან გადავიდეს საომარ მოქმედებებში. არც დასავლეთი აკლებს ამ ტონალობას, ბუნებრივია.

რუსეთი ცდილობს შექმნას ახალი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. 8-10 ივლისს ჩატარდა გრანდიოზული სამიტი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა, სადაც პომპეზურად მიიღეს ინდოეთი და პაკისტანი, როგორც ამ გაერთიანების ახალი წევრები. სხვათა შორის, პუტინმა და ჩინეთის პრეზიდენტმა სინ ძინ პინმა ფაქტობრივად, ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს ორგანიზაცია იქნება ანტიდასავლური ორიენტაციის. ფაქტობრივად, მათ დაგმეს ერთპოლარული სამყაროს მოდელის შექმნა. მან საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა ამერიკის საგარეო პოლიტიკა და გააკეთეს განცხადება უკრაინასთან დაკავშირებით.

***— ძალთა თანაფარდობა შეიძლება იმდენად შეიცვალოს და იმდენად არათანაბარი იყოს რუსეთის სასარგებლოდ, ანუ რუსეთმა შეიძლება იმდენად დიდი ძალები შემოიკრიბოს, რომ გადაწონოს დასავლეთი?***

— რუსეთმა მის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემდეგ, კიდევ უფრო გაამკაცრა რიტორიკა. ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, რომ მოსკოვში ამერიკის საელჩოს თანამშრომელს სცემეს და შემდეგ გაითამაშეს, თითქოს გაძარცვეს. ასეთი ფაქტი არ მომხდარა დიდი ხანია. ბოლოს ამერიკის საელჩოს თანამშრომლებს თავს რომ დაესხნენ და სცემეს, 1983 წელს მოხდა, როცა, თუ არ ვცდები, გორბაჩოვისა და რეიგანის ცხელი ეპოქა იყო. მანამდე ასეთი ფაქტი არასოდეს დაფიქსირებულა და ორი დღის წინ ითქვა, რომ ამერიკის საელჩოს თანამშრომელზე მოსკოვში მოხდა თავდასხმა. ფაქტობრივად, ამ დონემდე მივიდა საქმე. წარმოიდგინეთ, რუსეთი და ამერიკა უკვე გადავიდნენ ცხელი ომის პოლიტიკაზე. ამერიკა და რუსეთი სამხედრო მუსკულების დემონსტრირებას ახორციელებენ. სიტუაცია იძაბება, უკრაინაშიც საბრძოლო მოქმედებები განახლდა. ის რეჟიმი, რომელიც არსებობდა, უკვე მორღვეულია, გააფთრებული შეტაკებები იმართება სეპარატისტებსა და უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და მათ უკან მდგომ მოხალისეებს შორის, ანუ, ფაქტობრივად, უკრაინაშიც დაიძაბა სიტუაცია. შესაბამისად, იქაც ინტენსიურად ირღვევა საზავო ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო მინსკის ფორმატში. ამ ვითარების ლოგიკური შედეგია, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოშიც დაარღვიოს შეთანხმება. სხვათა შორის, შანხაის საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსებმა აზერბაიჯანიც მიიწვიეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა გართულებულია — ამერიკისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებს ნამდვილად ვერ დავარქმევ ნორმალურს. 13 ივლისს არის ადამიანის უფლებების დამცველების იუნისეფის სასამართლო პროცესი, რამაც შეიძლება გაართულოს სიტუაცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორი ურთიერთობა გააჩნია რუსეთს სომხეთთან, ფაქტობრივად, გამოდის, რომ რუსეთი უკვე აძლიერებს თავის გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსეთი ცდილობს აზერბაიჯანი გადაიყვანოს თავის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე.

***— რა საფრთხე ემუქრება დასავლეთიდან აზერბაიჯანს? დემოკრატიის თვალსაზრისით რომ აკრიტიკებს?***

— დასავლეთი აზერბაიჯანს ძალიან მწვავედ აკრიტიკებს ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. ევროსაბჭოს მკაცრი რეზოლუციები აქვს მიღებული. საკმაოდ მკაცრი ტონი აქვთ ევროკავშირის ლიდერებს აზერბაიჯანის მიმართ, რომ აზერბაიჯანი არღვევს ადამიანის უფლებებს და პოლიტიკურ თავისუფლებებს ზღუდავს. ფაქტობრივად, აზერბაიჯანი დასავლეთის მიერ გამოცხადებულია ავტორიტარული ტიპის სახელმწიფოდ. ეს რეალობაა. თუნდაც ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მთელმა წარმომადგენლობამ დაუჭირა მხარი. აქედან გამომდინარე, ურთიერთობებიც თანდათან იძაბება. მეორეც — აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის იკვრება საერთო ხაზი, თუნდაც ისლამური ხალიფატის კავკასიის ვილაიეთის შექმნის გამო, რომელიც, ბუნებრივია, რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც რუსეთს, ისე აზერბაიჯანს. აზერბაიჯანს სჭირდება რუსეთი, თუნდაც ამ საფრთხის მოგერიებისათვის. მთიანი ყარაბაღი მაინც კონსერვირებულია.

***— ამ რთული მსოფლიო პოლიტიკური ლაბირინთების ფონზე, საქართველო სადღაც, პატარა გზაჯვარედინზე იმყოფება.***

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაჯვარედინზე იმყოფება.

***— რუსეთის მცდელობა, რომ გორთან ქვეყნის მთავარი სტრატეგიული მაგისტრალი გადაკეტოს, სადამდე შეიძლება მივიდეს?***

— რუსეთის მიზანია და შეეცდება, ფაქტობრივად, დაეუფლოს თბილისი-გორის მაგისტრალს. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მონაკვეთის ხელში ჩაგდებით შეუქმნის საფრთხეს იმ ენერგოპროექტს, რომელიც დასავლეთის მიერ ასე რუდუნებით იყო მოპოვებული და დასავლეთის ინტერესებში შედის. ბაქო-თბილისი ჯეიჰანი არის თუნდაც ევროკავშირისა და ამერიკის ენერგოდამოუკიდებლობის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. ამ საფუძველზე რუსეთი ცდილობს როგორმე ხელში ჩაიგდოს. როგორც ჩანს, რუსეთი ბოლომდე განავითარებს თავის ხაზს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ურთიერთობა უკიდურესად არის დაძაბული დასავლეთსა და რუსეთს შორის. ის, რაც ორჭოსანთან მოხდა, ამის სამხედრო დემონსტრაციაა. ეს არის ღია სამხედრო დემარში, რომ რუსეთი ბოლომდე შეეცდება, საქართველო მოაქციოს თავის გავლენაში. ჯერ ერთი, თბილისი-გორის მაგისტრალი სჭირდება მას, რომ უშუალო კონტაქტი ჰქონდეს სომხეთის მიმართულებით, რომ უზრუნველყოს სამხედრო ტრანზიტის შეუფერხებელი მოძრაობა. ამით კიდევ უფრო გააძლიეროს ხაზი მოსკოვი-ერევანი-თეირანი. მეორე — ემსახურება იმას, რომ ყველა გეოეკონომიკური პროექტი, რომელიც აზერბაიჯანს აკავშირებს დასავლეთთან, ჩააგდოს. აქ არა მხოლოდ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზეა საუბარი, არამედ ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე, რაც ასევე არის გეოეკონომიკური პროექტი, რომელიც დასავლეთის ინტერესებში შედის, ანუ რუსეთი ორივე პროექტის დასამარებისაკენ მიმართულ ნაბიჯებს დგამს.

***— ამ სიტუაციაში, ლოკალურად, კონკრეტულად, იმ ადგილის დასაცავად, სადაც საზღვარი გადმოიწია უკვე კილომეტრნახევრით, ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს? ჯერჯერობით მხოლოდ ბოძებია ჩარჭობილი. ქართულმა მხარემ ელემენტარულად, ეს ბოძები არ უნდა ამოიღოს და არ უნდა გადააგდოს?***

— დიახ. ალბათ დადგა დრო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენოს ძალის ელემენტი. ასე გულხელდაკრეფილი ყოფნა არ შეიძლება. მე შესწავლილი მაქვს ის ადგილი. იქ მუდმივმოქმედი სტაციონარული ბლოკპოსტები და ჯგუფები არ არის განლაგებული. იქ არის მოძრავი ჯგუფები, რომლებიც მოძრაობენ პერიმეტრზე. უნდა შეიქმნას სტაციონარული ბლოკპოსტები, მაშინ ვეღარ გაბედავენ ასე თავისუფლად ჩვენი ტერიტორიების მითვისებას.

***— ჩვენ ხომ გვაქვს უფლება და შეგვიძლია ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორია დავიცვათ. იქით, ცხინვალში იმის დასაბრუნებლად, რაც წაგვართვეს, ხომ არ მივდივართ?***

— თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მცოცავი ოკუპაციის წყალობით მოხდეს ქვეყნის რეალური ოკუპაცია. რა მნიშვნელობა აქვს, მუშტის მუქარით მოხდება ოკუპაცია თუ მუშტის მოქნევით. რუსეთს უნდა საქართველო მოაქციოს თავისი გავლენის ქვეშ. საქართველოში იწყება ლიბანიზაციის პროცესი. როგორც ლიბანში აკუმულირდებოდა დიდი სახელმწიფოების ინტერესები, იგივე ვარიანტია აქაც. რუსეთს საქართველო სჭირდება, როგორც გეოსაკომუნიკაციო სისტემების გადამკვეთი არეალი. რუსეთს უნდა, რომ გადაკეტოს რეალური სასუნთქი მილი.

***— ეს მიზანი, რაზეც თქვენ საუბრობთ, უკვე ხომ აშკარაა, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ მცირედი ძალისმიერი ელემენტის დემონსტრირებით ბოძების დემონტაჟი უნდა მოახდინოს და დაიცვას ტერიტორია, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ?***

— თუ ჩვენ გვინდა, თბილისი-გორის სტრატეგიულ მაგისტრალზე არ ვიხილოთ რუსული ბლოკპოსტები, რუსმა სამხედროებმა არ გაგვაჩერონ თბილისიდან გორში მიმავალი, უნდა ვიმოქმედოთ. მე ხშირად მიწევს გორში ჩასვლა. გორში ერთ-ერთ უნივერსიტეტში გასწავლი და იქ ჩასვლაც ხშირად მიწევს. საქართველოს ხელისუფლებამ და საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უნდა იმოქმედონ, თუნდაც იმისათვის, რომ მოახდინონ სამხედრო მუსკულების დემონსტრირება. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ კონფრონტაციაში შევდივართ, ჩვენ გვინდა ომი, მაგრამ როცა აგრძელებენ შენს კონტროლირებად, შიდა ტერიტორიაზე თავხედურად და ცინიკურად შემოსვლას და ტერიტორიას გართმევენ, სტრატეგიულ ობიექტს იკავებენ, აქ უკვე შეიარაღებული ძალების ჩართულობა გარდაუვალია.

***— შეიძლება ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები არ გამოიყენოს იმის შიშით, რომ არ გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი დაპირისპირება.***

— არ გამოიყენებს და შეიძლება ჩვენ დავკარგოთ თბილისი-გორის მაგისტრალი. დროებით მაინც შევაჩეროთ. მეორე მხარე ყველა ვარიანტში უკან დაიხევს თუ ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენს მყარ ნებისყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისთვის გვჭირდება შეიარაღებული ძალები. მაშინ გავაუქმოთ შეიარაღებული ძალები და ჯარისკაცები სახლში გავუშვათ. შეიარაღებული ძალების ფუნქცია სხვა რა არის? აშკარაა პირდაპირი აგრესია, რომელსაც ახორციელებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები.

***— ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს არის პროვოკაცია. თქვენ თქვით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ცოტა ძალისმიერი ელემენტი უნდა გამოიყენოს. ძალისმიერი ელემენტის გამოყენება პროვოკაციაზე წამოგებად ხომ არ ჩაითვლება?***

— პროვოკაციას აქვს თავისი საზღვრები. მაშინ გამოწვეული იყო სააკაშვილის ხელისუფლების უგნური ქმედების შედეგით. განახორციელა ისეთი ქმედებები, რომლითაც რუსეთს მისცა საშუალება, რომ მთელი საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. რუსეთმა დაიკავა ფოთი, ზუგდიდი და თბილისს შეექმნა საფრთხე. ახლა ჩვენი მხრიდან პროვოკაციად არ შეფასდება იმიტომ, რომ რუსები ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომელზეც ტოლერანტობის დაშვება უკვე შედეგს ვერ მოგვცემს. საჭიროა სტაციონარული ბლოკპოსტების ჩამოყალიბება, სადაც შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის წარმომადგენლები ერთად დადგებიან და განახორციელებენ მუდმივ პატრულირებას და აღკვეთავენ ოსი სეპარატისტების თავხედურ ქმედებებს.

***— მე მგონი, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ჯარს იმიტომ არ აყენებენ, რომ საზღვრის დაფიქსირება არ უნდათ.***

— რომელ საზღვრის არ დაფიქსირებაზეა საუბარი, როდესაც ნელ-ნელა ჩვენ ვკარგავთ ტერიტორიებს, რომელიც მთელი საქართველოს ოკუპაციამდე მიდის. ასე ჩვენ დავკარგავთ თბილისი-გორის სტრატეგიულ მაგისტრალს. თუ ეს მაგისტრალი დაიკარგა, ჩათვალეთ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი შელახულია და ეს იქნება ოკუპაციის დაფიქსირება. თუნდაც ის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გადასულია რუსების კონტროლის ქვეშ, ეს უკვე ოკუპაციას ნიშნავს, რადგან ეს არის ქვეყნის სტრატეგიული ობიექტი. ფოთი რომ დაიკავეს რუსებმა, ის ოკუპაცია არ იყო? რა განსხვავებაა? მოვუწოდებ პრეზიდენტს, რომელიც არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სასწრაფო წესით მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა. ეროვნული სამხედრო სტრატეგიის ამოცანაა, დაიცვას ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები გარე ძალებისაგან. ეს საქართველოს სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია და ასახულია უსაფრთხოების კონცეფციაში.



> დადგა დრო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენოს ძალის ელემენტი. ასე გულხელდაკრეფილი ყოფნა არ შეიძლება. მე შესწავლილი მაქვს ის ადგილი. იქ მუდმივმოქმედი სტაციონარული ბლოკპოსტები და ჯგუფები არ არის განლაგებული. იქ არის მოძრავი ჯგუფები, რომლებიც მოძრაობენ პერიმეტრზე.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნავთობკომპანიები მილიონობით ლარის ჯარიმას გადაიხდიან ფასების ხელოვნურად აწევის გამო



საქართველოში პირველად, კარტელური გარიგებისთვის ბიზნესი ჯარიმას გადაიხდის.

თავად ამ ფაქტის გარდა, უპრეცედენტოა ჯარიმის მოცულობაც, რომელიც ბიზნესკომპანიებს ეკისრება და ის რამდენიმე ათეულობით მილიონ ლარს შეადგენს.

საუბარია საწვავის ბაზარზე, რომლის მოთამაშეებიც კარტელურ გარიგებასა და ფასების ხელოვნურ ზრდაში არიან მხილებულნი.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, კონკურენციის სააგენტომ პრაქტიკულად დაამთავრა საწვავის ბაზრის კვლევა და მივიდა დასკვნამდე, რომ ქართულ ბაზარზე მოქმედი ნავთობკომპანიები, 2009 წლიდან მოყოლებული, არღვევენ კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლს, ახდენენ ფასების ფიქსირებასა და შეთანხმებულ ქმედებას ახორციელებენ.

ამის გამო, ყველა ნავთობკომპანიას სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება, „კომერსანტის“ ინფორმაციით, უახლოეს დღეებში გაკეთდება.

დასახელებული მუხლის თანახმად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ანდა აკრძალვა, მათ შორის შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება).

გასულ კვირას კონკურენციის სააგენტომ ოფიციალურად დაგვიდასტურა, რომ საწვავის ბაზრის კვლევის შედეგები უახლოეს დღეებში გასაჯაროვდება.

ექსპერტების შეფასებით, თუ სააგენტო კომპანიების დაჯარიმების გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს უკანასკნელნი, მართალია, გაასაჩივრებენ ამ დასკვნას და პროცესები სასამართლოში გადაინაცვლებს. თუმცა ბაზარზე ფასები, სავარაუდოდ,დაიწევს.

იმის მოლოდინი, რომ კონკურენციის სააგენტო საწვავის ფასების ხელოვნურად გაზრდის ფაქტს დაადასტურებს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შექმნა. მან ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში განაცხადა, რომ საქართველოზე საწვავის მსოფლიო ფასების კლება არ აისახება. სწორედ ამ კონტექსტში ახსენა მან კონკურენციის სააგენტო.

— ვიცი, რომ საწვავის ფასები მოსახლეობას აწუხებს. ის, რომ მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასები იკლებს და ამის ასახვა არ ხდება საქართველოს ბაზარზე, აბსოლუტურად მიუღებელია. კონკურენციის სააგენტო მუშაობს საკითხზე. ძირეული შესწავლა უცებ ვერ მოხდება, მაგრამ გვაქვს პირველადი ანალიზი. ვისურვებდი, კიდევ უფრო მოხდეს საწვავის ფასის კლება. ჩემი ინფორმაციით, ასეც იქნება. ყურადღებით ვაკვირდებით ამ პროცესს, — აცხადებდა მაშინ ღარიბაშვილი.

კონკურენციის სააგენტო 2014 წლის 14 აპრილს შეიქმნა.

მაია ბუთბაია, კომერსანტ.გე

## კალაძე: ბაქო — სუფსის მილსადენის პრობლემა დღეს არ დაწყებულა

ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ბაქო-სუფსის მილსადენის პრობლემა დღეს არ დაწყებულა და ეს არის იმ უგუნური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ წინა ხელისუფლების მხრიდან.

— ეს პრობლემა 2008 წლიდან არსებობს. ომის შემდეგ ბიპი ვერ ახორციელებს ამ კონკრეტულ მონაკვეთზე შემოვლას და ეს არის დაახლოებით 1.605 მეტრი. ამ დრომდე, დღემდე ამ მილსადენის ფუნქციონირებას პრობლემა არ შექმნია, იმ შემთხვევაში, თუ იქნება პრობლემა, თუ ბრიტიშ პეტროლიუმი თავის საქმიანობას ვერ განახორციელებს, რა თქმა უნდა, დაიდება ალტერნატიული ვარიანტი, — განაცხადა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული მილსადენი საქართველოს საკუთრებაშია, კერძოდ, გაზისა და ნავთობის კორპორაციის ბალანსზეა და ბრიტიშ პეტროლიუმს აქვს აღებული ფუნქციონირებისთვის.

ბიპიენი

## უცხოელმა ინვესტორებმა რაჭის წყლების“ შეძენაზე უარი თქვეს

კომპანია „რაჭის წყლები“ ამ დრომდე არ გაყიდულა. როგორც „კომერსანტს“ კომპანიის ხელმძღვანელის მოადგილე მარინა კევლიშვილმა განუცხადა, უცხოელმა ინვესტორებმა, ქვეყანაში არსებული ზოგადი ვითარების გამო, „რაჭის წყლების“ შეძენისგან თავი შეიკავეს.



— ინვესტორები კონკრეტულ პასუხებს არ გვეუბნებიან. გადაწყვეტილება თითქმის მიღებული იყო. საქმე თითქმის ბოლომდე იყო მისული. მაგრამ, ამ ეტაპზე, მოლაპარაკებები, რომელთა 80% თითქმის შემდგარი იყო, შეჩერებულია, — განაცხადა მარინა კევლიშვილმა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის, წყლის წარმოება შეჩერებული არ არის და კომპანია მცირე დატვირთვით მუშაობს.

— ძირითადად, 19 ლიტრიან ბალონებს ვაწარმოებთ. ძალიან ბევრ ორგანიზაციას ვემსახურებით და ამ მხრივ სრული დატვირთვით ვმუშაობთ. კომპანიებთან ერთწლიანი ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული, პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული და, ცხადია, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ იქნება, — ამბობს კევლიშვილი და აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელიც კომპანიის მხრიდან მუშაობის შეწყვეტის შესახებ პერიოდულად ვრცელდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

კომპანია „პროგრესი 2000“-ის ბრენდი „რაჭის წყლები“ მილიონ დოლარადაა შეფასებული.

კომპანია ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა და 2006 წლამდე რუსეთში ექსპორტზეც გადიოდა.

ამ ეტაპზე, „რაჭის წყლები“ საწარმოო სიმძლავრის მხოლოდ 40-50%-ს იყენებს და წყალს საკუთარი კლიენტებისთვის აწარმოებს.

ამ დროისთვის, „რაჭის წყლები“ საცალო ქსელში არ იყიდება.

მარიამ მჭედლიშვილი, კომერსანტ.გე

## კახელი გლეხები ატმის რეალიზაციით მოგებას ვერ ნახულობენ

კახეთში წელს გლეხებს ატმის რეალიზაცია არ უჭირთ, თუმცა უკმაყოფილებას დაბალი ფასის გამო გამოთქვამენ.

ჩუმლაყელი ფერმერები ამბობენ, რომ შხამქიმიკატები შარშანდელზე ძვირი ღირდა, რის გამოც მოგებას ვერ ნახულობენ.

— ძალიან დიდი ხარჯი გვაქვს. ერთი წამლობა 1.000 ლარამდე ჯდება. წელს ატამს ჭია შეესია, ატმის გადასარჩენად ყველა ღონე ვიხმარეთ. ატმის შეწამვლა 4-ჯერ მოგვიწია. წლიდან წლამდე ამას შევყურებთ და მოგებას ვერ ვნახულობთ. ჩვენს შრომას გვერდზე გადავდებთ, მთავარია, შხამქიმიკატების, გასხვლისა და მოხვნის ფული დავფაროთ, მეტი არაფერი გვინდა. იმდენი მოვლა სჭირდება, ეს ფასი ხარჯებსაც კი ვერ დაგვიფარავს, — აცხადებენ კახელი ფერმერები.

ჩუმლაყში მდებარე ხილის კომპანიამ 120 ტონა ატამი უკვე ჩაიბარა და 2.000 ტონამდე ატმის ჩაბარებას გეგმავს.

კომპანია ყველანაირი ხარისხის ხილს უპრობლემოდ იღებს. ჩუმლაყის სარეალიზაციო ბაზარზე 1კგ ატმის ფასი 40 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობს. ვაშლატამას ფასი კი 50 თეთრიდან 80 თეთრამდეა.

თიკო გურაშვილი, ბიპიენი

## ლიბერთი ბანკი“ გადახდის კიდევ ერთ ახალ მოქნილ სისტემას, უკონტაქტო ბარათს გთავაზობთ

ნათია ხურცილავა

„ლიბერთი ბანკმა“ Unionpay internacional უკონტაქტო ჩიპიანი ბარათები დანერგა და QuiskPass ბარათების გამოშვების შესახებ გუშინ, 13 ივლისს პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა.

უკონტაქტო ჩიპიანი ბარათების გამოშვების შესახებ განცხადება „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ და „უნიონპეი ინტერნაციონალის“ პრეზიდენტმა, ში ვანჩაომ გააკეთეს.

უკონტაქტო ბარათების გამოშვების სამუშაოები მიმდინარეობს და პროდუქტი მომხმარებლებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი.

„ლიბერთი ბანკი“ აღნიშნული პროექტის განხორციელებით იქნება რეგიონში პირველი ბანკი, რომელიც გამოუშვებს უკონტაქტო UPI QuickPass ბარათებს. უკონტაქტო ბარათის გამოყენებით, მომხმარებლებს საშუალება მიეცემათ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ტერმინალზე ბარათის დადებით გადაიხადონ თანხა სწრაფად და მარტივად. მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ უკონტაქტო ბარათები მაღაზიებში, რესტორნებში, აფთიაქებში, ინტერნეტ მაღაზიებსა და სხვა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში.

„ლიბერთი ბანკი“ არის ერთ-ერთი საფინანსო ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს „უნიონპეისს ინტერნაციონალ“-ის სრულფასოვან მომსახურებას სთავაზობს. 2014 წლის აგვისტოდან „ლიბერთი ბანკმა“ უკვე გასცა 197,000-ზე მეტი კლასის და 58,000-ზე მეტი დიამონდ სახეობის ბარათი.

ამავდროულად, „ლიბერთი ბანკმა“ წარმატებით დაასრულა ჩიპიანი ბარათების დანერგვის პროექტი.

„ლიბერთი ბანკის“ ბარათით გადახდის დროს მომხმარებლებს უგროვდებათ ქულები „ლიბერთი კლუბში“. დაგროვილი ქულები კი შეუძლიათ გადაცვალონ ნაღდ ფულში, შეავსონ მობილურის სასაუბრო დრო და გადაიხადონ კომუნალური გადასახდელები.

დამატებით, ყველა ბარათის მფლობელს შეუძლია ისარგებლოს 50%-მდე ფასდაკლებით პარტნიორ ობიექტებში. უპი ბარათის მფლობელები დამატებით სარგებლობენ სპეციალური შეთავაზებებით და ფასდაკლებებით მსოფლიოს მასშტაბით.

**გიორგი არველაძე, „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი:**

— მოხარული ვარ, რომ ქართველ მომხმარებლებს ვთავაზობთ გადახდის კიდევ ერთ ახალ მოქნილ სისტემას უკონტაქტო ბარათს. „ლიბერთი ბანკი“ არის უმსხვილესი იმ საფინანსო ინსტიტუტებს შორის საქართველოში, რომელიც ბარათების გამოშვებითა და გადახდების მიღებით,




პარტნიორობს „უნიონპეი ინტერნაციონალთან“. მიხარია, რომ „ლიბერთი ბანკი“ გახდა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პარტნიორი ამ ორგანიზაციის. ჩვენ უკვე გვაქვს დაახლოებით 250 ათასი უნიონპეის ბარათი გამოშვებული, რომლითაც ჩვენი მომხმარებელი უკვე სარგებლობს. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ განვავითაროთ და შევქმნათ ახალი პროდუქტები, რაც დამატებით კომფორტსა და მოქნილობას უზრუნველყოფს ჩვენი მომხმარებლებისთვის.

**„უნიონპეი ინტერნაციონალ“-ის პრეზიდენტი ში ვანჩაო:**

— „უნიონპეი ინტერნაციონალი“ მუდმივად ფართოვდება და ის უკვე მსოფლიოს მასშტაბით არის წარმოდგენილი. მე მოხარული ვარ იმ ფაქტით, რომ საქართველოში ჩვენ გვყავს ძლიერი პარტნიორი, რომელიც მომხმარებელს მიაწვდის „უნიონპეი ინტერნაციონალ“-ის სრულფასოვან მომსახურებას. მიმდინარე პერიოდისთვის, საქართველოში „ლიბერთი ბანკის“ 250,000 -ზე მეტი მომხმარებელი უკვე სარგებლობს ბარათის მომსახურებით როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და ვიმედოვნებთ, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

## სამგზავრო გადაზიდვებს ახალი რეგულაციები მოაწესრიგებს

უახლოეს მომავალში საქართველოს მასშტაბით ავტოსადგურები მოწესრიგდება. კანონპროქტი, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, მომზადების პროცესშია.

დღეს, ხშირ შემთხვევებში, გადაზიდვების პროცესი ხორციელდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე მომუშავე გადამზიდველების მიერ მოძრაობის განრიგების გარეშე, მოძრაობის, გარემოს დაცვისა და მძღოლთა შრომისა და დასვენების ნორმების უგულებელყოფით.

კანონპროექტის ინიციატორი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოა.

სააგენტოში აცხადებენ, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის ძირითადი მიზეზია საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში და სამგზავრო ავტოსადგურებში არსებული რთული მდგომარეობა.

— ავტოსადგურებში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური, მოძრაობის, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნები. უმეტესი ავტოსადგურების ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საექსპლუატაციო-ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები“ მოთხოვნებს, — აცხადებენ სააგენტოში.

მათი განცხადებით, სისტემატური ხასიათი მიიღო მგზავრთა გადაყვანამ მასობრივი თავშეყრის ადგილებიდან, ნაცვლად ავტოსადგურებისა, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა ავტობუსების ქაოსური მოძრაობის ინტენსივობა, იქმნება საცობები, საგრძნობლად გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა.

ის მეწარმე-გადამზიდველები, რომლებიც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვითა და ბიუჯეტთან სრული ანგარიშსწორებით, აღმოჩნდნენ არაკონკურენტუნარიან პირობებში, რაც იწვევს მათ განდევნას სატრანსპორტო ბაზრიდან და კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფით მომუშავე ავტობუსის მფლობელი ინდივიდუალური პირებით ჩანაცვლებას.

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

სააგენტოს ინფორმაციით, კანონპროექტის მიზანია აღნიშნული ხარვეზების მოწესრიგებისათვის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო საავტომობილო გადაყვანების (ადგილობრივი და საქალაქო გადაყვანების გარდა) სანებართვო სისტემაში მოქცევას და ავტოსადგურების სერტიფიცირებას სააგენტოს მიერ.

გარდა ამისა, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით, საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანების სფეროს რეგულირების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ლეგალური თანხების ბრუნვა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

# კახა მისირელი: ირაკლი ფირცხალავას ძმა ნარკოტიკებზე ჩვენ დავაკავეთ“

## ირინა ცაამე: „ესენი ყველა კრიმინალები არიან“

**გუშინ, 13 ივლისს, კორტების სპეცოპერაციის საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა. სასამართლომ დაკითხა პროკურატურის მოწმე კახა მისირელი.**

მისირელი სპეცოპერაციის პერიოდში სოდში მუშაობდა და ამ საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის, ირაკლი ფირცხალავას, ძმა ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით სწორედ მისმა სამსახურმა დააკავა.

— ერთ-ერთი ჩემი თანამშრომელი ჩემთან მოვიდა და ცოტა ხნით გასვლა მთხოვა სამსახურიდან. მითხრა, რომ პირად ქონებასთან დაკავშირებით, ვიღაც ბიზნესმენთან პრობლემები ჰქონდა. ამის შემდეგ მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემთან მუშაობდნენ ყაჩაღები და ბანდიტები, რომ ჩემი თანამშრომელი ლაშა არველაძე ბიზნესს ატერორებდა. მერაბიშვილმა მაჩვენა ფირი, სადაც არველაძე ბიზნესმენს პირადი ნივთის დაბრუნებას სთხოვდა, ემუქრებოდა და აგინებდა. მერაბიშვილმა მითხრა, რომ ფირცხალავამ და მისმა ბიჭებმა გამოავლინეს არველაძე და იმუშავეს ამ საქმეზე, — განაცხადა მისირელმა სასამართლოზე.

მან ეს ჩათვალა გამოწვევად და მისი სამსახურის დისკრედიტაციად.

— ამის შემდეგ თანამშრომლებს დავავალე, მოეპოვებინათ კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელების მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა მათ შეხება ნარკოტიკებთან ან სხვა რამ, — განაცხადა მოწმემ.

მისი თქმით, ამის შემდეგ შემთხვევით შეხვდა ალექსანდრე ხუბულოვი, რომელმაც უთხრა — მორფინისტებს დასდევ და ფირცხალავას ძმას არ იჭერთო.

— ამას მაშინ ყურადღება არ მივაქციე. რამდენიმე დღეში დავინტერესდი, ჩემი დავალება როგორ სრულდებოდა, სხვა თანამშრომელმა მოიტანა ინფორმაცია, რომლის წყაროც ხუბულოვი არ იყო და მითხრეს, რომ ლევან ფირცხალავა ეწეოდა ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვას. ეს ინფორმაცია გადავამოწმეთ და შემდეგ დავაკავეთ ირაკლი ფირცხალავას ძმა ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, როგორც მახსოვს, ორი აბი სუბოტექსი აღმოაჩნდა. შემდეგ მას გაუფორმდა საპროცესო, მანამდე კი ვანო მერაბიშვილმა მითხრა, საპროცესო რომ ფორმდებოდა, წინააღმდეგი ხომ არ ვიყავი. მე კი მას ვუთხარი, რომ თუკი არველაძეს დააბრუნებდნენ, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი და ამის შემდეგ არველაძე დააბრუნეს, — განაცხადა კახა მისირელმა.

რაც შეეხება ლევან ფირცხალავას ამ საქმესთან კავშირს, ბრალდების მტკიცებით, კორტების სპეცოპერაცია ირაკლი ფირცხალავამ შურისძიების მიზნით განახორციელა ალექსანდრე ხუბულოვის წინააღმდეგ, რომელმაც, ბრალდების მტკიცებით, მისი ძმა ნარკოტიკებთან კავშირში ამხილა.

მოწმეს შეკითხვები დაუსვა დაცვის მხარემ.

ბრალდებულები დაინტერესდნენ, მისირელს ლევან ფირცხალავას დაკავების დროს ხომ არ შეუძენია აფთიაქ „ჯაზუში“ ფსიქოტროპული საშუალება.

ამის საპასუხოდ მოწმემ აღნიშნა, რომ იგი არ არის ფსიქოტროპული წამლების მომხმარებელი, თუმცა ჩატარებული ოპერაციის შემდეგ კოდეინს იღებს, რომელსაც ლონდონიდან უგზავნიან ექიმის დანიშნულებით.

უშუალოდ კორტების სპეცოპერაციაზე შეკითხვების საპასუხოდ, კახა მისირელმა აღნიშნა, რომ სპეცოპერაციის შესახებ არაფერი იცის.

დაცვის მხარე დაინტერესდა, საიდან იცნობდა სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილ ხუბულოვს კახა მისირელი, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ხუბულოვი კრიმინალისკენ მიდრეკილი ახალგაზრდა იყო, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებებს იყენებდა. თუმცა ხუბულოვთან მხოლოდ პირადი ნაცნობობა აკავშირებდა და ის არასდროს დაუკავებია.

— ჰქონდა თუ არა ირაკლი ფირცხალავას ძმის, ლევან ფირცხალავას დაკავებას კავშირი კორტების სპეცოპერციასთან? — იკითხა დაცვამ

ამაზე კახა მისირელმა უპასუხა, რომ მაშინ კავშირი ამ ორ ფაქტს შორის ვერ დაინახა.

სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ კახა მისირელი ბრალდებულია ქურდული სამყაროს წევრობისთვის — 2010 წლის 7 ივლისს იგი გიორგი დემეტრაძესთან, დავით გაგნიძესთან და ვატო ყიფიანთან ერთად მისცეს პასუხისგებაში.

მისირელმა აღნიშნულ ფაქტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ საქმის განხილვა 5 წელია, მიმდინარეობს, თუმცა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება არ აღმოჩნდა. მისირელის ამ განცხადების შემდეგ ბრალდებული ირაკლი ფირცხალავა დაინტერესდა, ხომ არ სთხოვა მოწმეს პროკურატურამ ჩვენების მიცემა რაიმე შემამსუბუქებელი ღონისძიების დაპირებით, რაზეც კახა მისირელმა უპასუხა, რომ მსგავს შეთანხმებას პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

მოწმის დაკითხვის შემდეგ ბრალდებულის ახლობლებმა მისი ჩვენება გააპროტესტეს.

როგორც ერთ-ერთი ბრალდებულის დამ, ირინა ცაამემ, განაცხადა, პროკურატურას უნდა რცხვენოდეს, რადგან კახა მისირელი ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის არის ბრალდებული და მას მოწმედ იყენებს.

როგორც ბრალდებულ ცაამის დამ აღნიშნა, მისი ოჯახზე ზეწოლა მიმდინარეობს კრიმინალების გამო. ზეწოლა იმაში გამოიხატება, რომ მისი შვილი დაიბარეს პოლიციაში და გამორიცხული არ არის, რომ უკვე დაკავებულია და ნარკოტიკიც ჩაუდეს.

— მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილს, შეაჩეროს ჩემი ოჯახის დისკრიმინაცია. ჩემი შვილი დაიბარეს პოლიციაში, არც ვიცი, უკვე დაკავებულია თუ არა და, შესაძლოა, ნარკოტიკიც ჩაუდეს. იური ვაზაგაშვილის მკვლელობისთვის მე და მამაჩემიც უნდა ვყოფილიყავით ციხეში, ესენი ყველა კრიმინალები არიან. ვიღაც ქურდებს არჩევინებენ საქმეს. ჩემი ძმა, რომელიც არის დამსახურებული პოლიციელი, ამ კრიმინალების გამო გამოამწყვდიეს. პროკურორებს არ რცხვენიათ, რომ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს იცავენ. ივანიშვილმა თავი დაგვანებოს. მას შეხვედრაც ვთხოვეთ, თუმცა არ შემხვდა, ალბათ თვალებში ვერ ჩამხედავდა. დღეს მოიყვანეს მოწმე, რომელიც ქურდული სამყაროს წარმომადგენელია, ნარკოტიკების მომხარებელია, იგი დღეს ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, — განაცხადა ირინა ცაამემ.

ბრალდებული ირაკლი ფირცხლავა პროკურატურას ამ საქმიდან გამოყოფილ საქმეზე ბრალდებულ სპეცრაზმელებთან შეთანხმებაში ადანაშაულებს.

ფირცხალავას თქმით, რამდენიმე დღის წინ ე.წ. მატროსოვის ციხეში, სადაც მოთავსებულია 7 რიგითი სპეცრაზმელი ერთ საკანში, იმყოფებოდა პროკურატურის წარმომადგენელი. ფირცხალავას თქმით, მისი საკნის კარი ბოლომდე არ იკეტება და მან დაინახა, როგორ შედიოდა პროკურორი და ორ-ორად გამოჰყავდა ბრალდებულები. ბრალდებულები კი, როგორც ფირცხალავა აცხადებს, ბრუნდებოდნენ ჩვენების ფურცლებით, რომლის მიცემაც პროკურატურამ სასამართლოში დაავალა.

ფირცხალავამ აღნიშნა, რომ მან მოისმინა საკნიდან ფრაზები, რომელთა მიხედვითაც, ბრალდებულები ამბობენ, რომ ადვოკატი, ვინმე იაგო ეუბნებოდათ, რომ ვინმე ჯარჯი — პროკურორი მათ შეღავათებს დაპირდათ. კერძოდ, ბრალდებულები ამბობდნენ, ადვოკატმა აღნიშნა, რომ „ჯარჯიმ თქვა, ივლისი-აგვისტოა, ამ საქმით არავინ დაინტერესდებაო“.

— ეს ჰგავს სიმართლეს. პროკურატურა აპირებს, რომ ნაწილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმოს, ნაწილს კი — განრიდება. ამის სანაცვლოდ კი მათი ჩვენებები, რომლებიც დახურულ კარს მიღმა მისცეს, გამოყოფილი საქმის ფარგლებში, მოიტანონ და ჩადონ ჩვენს საქმეში. ეს ადამიანები, რიგითი სპეცრაზმელები არიან უდანაშაულოები, ისინი ჯერ დააკავეს, შემდეგ კი ცდილობენ მათ მორალურად გატეხვას, — განაცხადა ფირცხალავამ.



მან აღნიშნა, რომ თუ ინფორმაციები გამართლდება, იგი სასამართლო პროცესზე აღარ გამოცხადდება და ადვოკატზეც უარს იტყვის, მის ინტერესებს კი ფორმალურად დაიცავს სახაზინო ადვოკატი.

ფირცხალავას განცხადების გაკეთების შემდეგ, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზიშვილმა განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების უფლება ყველა ბრალდებულს გააჩნია.

მოსამართლემ ფირცხალავას მისამართით კიდევ ერთი განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული ჩვენებები მის მიერ განსახილველ საქმეს არ დაერთვება.

ფირცხალავას მიერ გაკეთებულ განცხადებას სასამართლოს სხდომაზე გამოეხმაურა საქმის პროკურორი.

ამირან გულუაშვილმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს ფირცხალავამ მიაწოდა, სიმართლეს არ შეესაბამება და მატროსოვის ციხეში შეთანხმებაზე მოლაპარაკებისთვის ბრალდების მხარის წარმომადგენელი არ ყოფილა.

პროკურორის თქმით, ძნელია, ფირცხალავას განცხადება დამაჯერებლად იქნას აღქმული, რადგან მისი საკნის კარი ღია ვერ იქნებოდა და ასეც რომ ყოფილიყო, ბრალდებული ფირცხალავა ვერ დაინახავდა, რა ეწერა ფურცლებზე, რომლებიც თითქოს ბრალდებულებს ეჭირათ.

## ბელარუსში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

ბელარუსიელმა მესაზღვრეებმა, გროდნენსკის ოლქში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ბელარუსის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდნენ.

სახელმწიფო საზღვრის კომიტეტის პრეს-სამსახურის ცნობით, ქართველები მესაზღვრეებმა, სოფელ ლიპნიაგში, საზღვრიდან 10 კილომეტრის მოშორებით დააკავეს.

ისინი ტაქსით გადაადგილდებოდნენ

ავტომობილის მძღოლი ქალაქ სმორგონის მცხოვრები იყო.

როგორც საქართველოს მოქალაქეებმა მესაზღვრეებს განუცხადეს, ისინი ბელარუსის ქალაქ ოშმიანში მიდიოდნენ, თუმცა მათ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტაცია არ ჰქონდათ.

დაკავებულებს საქართველოში დეპორტაცია ელით.

ნსპ.გე

## მოსკოვის ყოფილი ვიცე-მერის ბინის ქურდობისთვის, საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსეთში, მოსკოვის ყოფილი ვიცე-მერის სოსო ორჯონიკიძის კოტეჯი გაძარცვეს. ამის შესახებ ინფორმაციას „ლაიფნიუსი“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, თებერვლის თვეში, ორჯონიკიძის კოტეჯიდან ოქროთი მოპირკეთებული ნივთები და ძვირფასი ქვები მოიპარეს, რომელთა უმეტესობა ვიცე-მერს აუქციონზე ჰქონდა შეძენილი და მათი ღირებულება 100 მილიონ რუბლს შეადგენდა.

პოლიციამ მოგვიანებით, ყოფილი ვიცე-მერის ბინის ქურდობაში ბრალდებული დააკავა, რომელიც საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

სამართალდამცველები საქართველოს მოქალაქის თანამზრახველებისა და მოპარული ძვირფასეულობის ძებნას აგრძელებენ.

საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

ნსპ.გე

## თელავში 13 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის 17 წლის ბიჭი დააკავეს



თელავში 17 წლის ბიჭი 13 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს. მე-8 კლასის მოსწავლე გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული დაკავებულია. სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა მანამდე სხვა გოგონაც გააუპატიურა, რომელიც შემდეგ იძულებით ცოლად მოიყვანა და ორსულად არის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დაზარალებული ბავშვის მშობლები მომხდარის შესახებ ინფორმაციის გახმაურებისგან ექსპერტიზის დასრულებამდე თავს იკავებენ.

— მეც და კლასის ხელმძღვანელსაც გვაქვს ინფორმაცია. საქმის კურსშია საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელიც. არაერთხელ ვცადეთ ბავშვის მშობლებთან დაკავშირება, თუმცა, მათ ჩვენთან კონტაქტზე უარი თქვეს. კლასის ხელმძღვანელი რამდენჯერმე სახლშიც მივიდა, მაგრამ არ შეხვდნენ, — განუცხადა სკოლის დირექტორმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურებას გულისხმობს. დანაშაული სასჯელის სახით 10-დან 13 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

## უკანონო თევზჭერის ფაქტზე სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს ხიდისთავის განყოფილების თანამშრომლებმა,

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო თევზჭერის ბრალდებით სამი პირი: 1982 წელს დაბადებული ვალერიან მ., 1950 წელს დაბადებული გიორგი ნ. და 1974 წელს დაბადებული ბესიკ მ. გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას უკანონოდ დაჭერილი 15 კილოგრამი თევზი, ბადეზე მიმაგრებული ელექტროშოკის აპარატი და აკუმულატორი ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა აღნიშნული თევზი კასპის რაიონში, სოფელ გომის მიმდებარედ, მდინარე მტკვარში უკანონოდ დაიჭირეს.

შსს-ს ცნობით, სამივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება აკრძალულ ადგილას ელექტროშოკის აპარატით თევზის მასობრივი განადგურების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 300-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## სასაზღვრო პოლიციამ სწავლება გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №5 სამმართველოს (ლაგოდეხი) №5 სექტორისა (შილდა) და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სადგურ „სუფსა“-ს ტერიტორიაზე მასმედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური გამართა.

მედიატურში ტელე, რადიო, ინტერნეტ და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიების ფარგლებში ჟურნალისტებისათის გაიმართა პრეზენტაცია შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურის შესახებ. ასევე, შავ ზღვაზე ჩატარდა სწავლება, რომელიც ადამიანის გადარჩენისა და აგრეთვე, მცურავი საშუალების აბორდაჟირებას მოიცავდა.

სწავლებაში მონაწილეობა გარდა სანაპირო დაცვისა, სასაზღვრო პოლიციის ავიაციამ მიიღო.

მედიატურის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა ჟურნალისტებს მიეღოთ მაქსიმალური ინფორმაცია სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის შესახებ და გაცნობოდნენ დასრულებულ, მიმდინარე თუ სამომავლო პროექტებს.

ნიუსპრესი



# სისხლიანი ტრაგედია მუკაჩევოში

სისხლიანმა ტრაგედიამ მუკაჩევოში მთელი უკრაინა შეძრა. ტელეკომპანია მეხუთე არხის ცნობით, ადგილობრივ მილიციასა და „მემარჯვენე სექტორის“ ბოევიკებს შორის მოხდა შეტაკება. არიან მოკლულები, დაჭრილები.

— სროლა სპორტკომპლექს „ანტარის“ ტერიტორიაზე გაიმართა, — იტყობინება მე-5 არხი.

### დეპუტატი მილიციელები და განგსტერული გარჩევა

იმიერკარპატისპირეთი თავისებური რეგიონია. საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ ეს მხარე წლების მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ ბატონობდნენ უნგრელები, ჩეხები, რუსები. 1991 წლიდან იმიერკარპატისპირეთი დამოუკიდებელი უკრაინის შემადგენლობაშია. აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით შერეულ ოჯახებს, როცა ოჯახის მამა უნგრელია, დედა სლოვაკი, ან უკრაინელი. იმიერკარპატისპირეთი უშუალოდ ესაზღვრება უნგრეთს, რომელიც ევროკავშირისა და ნატოს წევრია, სადაც უხვად არიან ძალები, რომლებიც ე.წ. „ზემო უნგრეთის“, ასე უწოდებენ ისინი იმიერკარპატისპირეთს, დაბრუნებას მოითხოვენ. რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით იმერკარპატისპირეთში ე.წ. „რუსინული მოძრაობა“ გაჩნდა, რასაც უკრაინის ხელისუფლებამ წინააღმდეგობა ვერ (ან არ) გაუწია. რუსინები აცხადებდნენ, იმიერკარპატისპირეთი უკრაინული არასოდეს ყოფილაო და ავტონომიას მოითხოვდნენ. საბედნიეროდ ხალხი ბრძენი აღმოჩნდა. სადღეისოდ რუსინთა მოძრაობა სულ 300-მდე მარგინალს ითვლის. სეპარატიზმმა იმიერკარპატისპირეთში ვერ იხარა. სამაგიეროდ, აქ გაიფურჩქნა კონტრაბანდა. უკრაინელი ჟურნალისტის მუსტაფა ნეიომის ცნობით, კონტრაბანდაში მონაწილეობდნენ ყველანი, ადგილობრივი ე.წ „ელიტების“ წარმომადგენლები, შს, უშიშროება. ნეიომის პოზიციას მთლიანად იზიარებდნენ „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლები, რომლებიც უკრაინის ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ. „მემარჯვენე სექტორი“ ასახელებდა კონკრეტულ გვარებსაც. მათ შორის იყო ყოფილი რეგიონალი, ამჟამად კი უკრაინის პარლამენტის დეპუტატი და ფრაქცია „ხალხის ნების“ წევრი მიხაილო ლანიო. ამ კაცის კრიმინალურ საქმიანობაზე ჯერ კიდევ 1990 წლიდან მთელი ლეგენდები დადიოდა. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულება უმოქმედობას იჩენდა.

— მოვითხოვთ, რათა ბოლო მოეღოს იმ განუკითხაობას, რაც დღეს იმერკარპატისპირეთშია გამეფებული, — აცხადებდნენ „მემარჯვენე სექტორის“ წევრები.

ასეთმა შეურიგებელმა პოზიციამ ლანიო და მისი მეგობრები განარისხა. როცა 11 ივლისს მემარჯვენე სექტორის წევრები მუკაჩევოში (იმიერკარპატისპირეთის დედაქალაქი) ჩავიდნენ, ლანიოს მცველები მათ თავს დაესხნენ. ადგილობრივი მილიციაც მათ დაეხმარა. შედეგად ატყდა სროლა, დაიღვარა სისხლი.

— მოკლულია 2, დაჭრილია 11 ადამიანი, — იტყობინება „ცენზორ ნეტი“.

### სემენჩენკო „მემარჯვენე სექტორს“ მხარს უჭერს

პრეზიდენტმა პოროშენკომ „მემარჯვენე სექტორის“ წევრების დაპატიმრება ბრძანა. ამას თვით მმართველ უმაღლესობაშიაც კი არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა. იური ლუცენკომ „მემარჯვენე სექტორის“ წევრებს ბანდიტები უწოდა. თავშეკავებული იყო პარლამენტის სპიკერის გროისმანის პოზიცია. მან განაცხადა, რომ ბანდიტებიც უნდა დაისაჯონ და სამართალდამცავი ორგანოების მიერ შექმნილი მდგომარეობაც უნდა გულდასმით იქნას გაანალიზებული. გაცილებით რადიკალური იყო პარტია „სამოპომოშჩის“ ერთ-ერთი ლიდერისა და დეპუტატის, ბატალიონ „დონბასის“ მეთაურის სემიონ სემენჩენკოს პოზიცია:

—„მემარჯვენე სექტორის“ ბიჭებთან აუცილებელია დიალოგი! ძალის გამოყენებით პრობლემა მხოლოდ გამწვავდება, —თქვა სემენჩენკომ.

„დონბასის“ მეთაურმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მოხალისეთა მოძრაობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ცილისმწამებლური კომპანია მიმდინარეობს. ჯერ იყო და ბატალიონი „აზოვი“ დაადანაშაულეს, შემდეგ „ტორმადო“, ახლა „მემარჯვენე სექტორის“ ჯერი დადგა.

— ამან არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს, — განაცხადა სემენჩენკომ.



### „მემარჯვენე სექტორის“ მოთხოვნები

ამასობაში „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერმა დმიტრო იაროშმა ოფიციალური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ ის, რაც მუკაჩევოში მოხდა, „მემარჯვენე სექტორის“ წინააღმდეგ განხორციელებული პროვოკაციაა. იაროშმა ამაში შს-ს მინისტრი ავაკოვი, უკრაინაში პუტინის რუპორი მედვედჩუკი და იმერკარპატისპირეთის ე.წ. „ელიტა“ დაადანაშაულა.

— მოვითხოვთ, რათა შს-ს მინისტრი პოსტიდან დაუყოვნებლივ გადადგეს, დაპატიმრებულ იქნას ვიქტორ მედვედჩუკი, მუკაჩევოსთან მომხდარი შემთხვევის გარშემო კი ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება ჩატარდეს,—თქვა იაროშმა.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. კიევში „მემარჯვენე სექტორის“ მხარდასაჭერად ათასობით ადამიანი გამოვიდა. ხმაურიანი აქციები ჩატარდა დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, ოდესაში, ხერსონში, ლვოვში. კიევში „მემარჯვენე სექტორის“ აქტივისტებმა პრეზიდენტ პოროშენკოს ადმინისტრაციასთან ხმაურიანი აქცია გამართეს.

### ჩვენ სისხლისღვრა არ გვსურს

როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ერთსულოვანი იყვნენ ერთში: მუკაჩევოს კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა გადაიჭრას. „მემარჯვენე სექტორის“ წევრებმაც გამოთქვეს მზადყოფნა ძალოვანებს დანებებოდნენ. მათი მოთხოვნა შემდეგი იყო: ისინი უკრაინის უშიშროებას ჩაბარდებიან, შემდეგ უნდა გადაიყვანონ კიევში და გამოძიებაც უნდა ჩატარდეს არა მუკაჩევოში, არამედ უკრაინის დედაქალაქში.

— თუკი გამოძიება აქ, მუკაჩევოში, ჩატარდება, ყველაფერი არა კანონის მიხედვით, არამედ ადგილობრივი ელიტების ინტერესების შესაბამისად გადაწყდება, —აცხადებდნენ ისინი.

„მემარჯვენე სექტორის“ ლიდერი დიმიტრი იაროში თავის მხრივ პრეზიდენტ პოროშენკოს ადმინისტრაციისაკენ გაეშურა. მოლაპარაკებები ლამის ექვს საათს გაგრძელდა. ორივე მხარე ხაზს უსვამდა იმას, რომ სისხლისღვრა დამღუპველია. ამავე დროს იაროში კატეგორიულად მოითხოვდა, რათა გადამდგარიყო ავაკოვი, დაეპატიმრებინათ მედვედჩუკი და ე.წ. იმიერკარპატისპირეთის ელიტის რიგი წარმომადგენელი.

— იმერკარპატისპირეთში სრული განუკითხაობაა! ასე გაგრძელება შეუძლებელია! — ამტკიცებდა იაროში.

ხელისუფლებამ თავს მხრივ მემარჯვენე სექტორის წინააღმდეგ უშიშროების სპეცნაზი და ეროვნული გვარდია გადაისროლა. მიუხედავად ამისა, სამხედროების ნაწილმა ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადა.

— მემარჯვენე სექტორის ბიჭები ჩვენი ძმადნაფიცები არიან. დონბასში ჩვენ მხარდამხარ ვიბრძოდით, მათ წინააღმდეგ იარაღს არ აღვმართავთ! —ამბობდნენ ისინი.

### მოლაპარაკებები ჩიხში შედის

მოლაპარაკებები გაგრძელდა. მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა, ჩაგვბარდითო. იაროში თავის მოთხოვნების შესრულებას მოითხოვდა. შტურმი თითქოს გარდუვალი იყო. ანაზდად მემარჯვენე სექტორის წევრები მუკაჩევოს ტოვებენ. მათი დაკავებაც ვერ ხერხდება.

— მიმდინარეობს გაქცეული ბოევიკების ძებნა, — განაცხადა უკრაინის პარლამენტის სპიკერმა გროისმანმა.

ამრიგად, მოლაპარაკებების გზით პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, თუმცა არც შტურმი განხორციელებულა.

### დამნაშავე ორივე მხარეა

ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ მუკაჩევოს ტრაგედიაში დამნაშავე ორივე მხარეა. მუსტაფა ნეიომის აზრით საეჭვოა, რომ მემარჯვენე სექტორის წარმომადგენლებს მხოლოდ კონტრაბანდასთან ბრძოლის მისწრაფება ამოძრავებდათ.

— ჩემი აზრით, კონტრაბანდაში მემარჯვენე სექტორიც მონაწილეობდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. თუ რატომ მივიდა საქმე სროლამდე, ეს უნდა გაირკვეს, —აცხადებს ნეიომი.

ვლადიმერ ფისენკოს აზრით, მიკაჩევოს ტრაგედიამ გვიჩვენა მთავარი: უკრაინის სამართალდამცავი სისტემა ძირეულ რეფორმებს საჭიროებს. ხელისუფლებამ ამაზე უარი განაცხადა. კორუფცია კვლავაც ყვავის. მუკაჩევოს ტრაგედიაც ამისი შედეგია.

— ასე ხდება ხოლმე, როცა რეფორმები არ ტარდება. თუკი ახლაც არაფერი გაკეთდა, შედეგები გაცილებით მძიმე იქნება, —აცხადებს ფისენკო.

ყველაზე საინტერესო, უდავოდ, სემიონ სემენჩენკოს კომენტარია. 112 არხისათვის მიცემულ ინტერვიუში „დონბასის“ მეთაურმა აღნიშნა:

— მოხალისეთა მოძრაობიდან გამოიკვეთა ელიტა, რომლის ბაზაზეც შესაძლებელია ახალი უკრაინული არმიის, უშიშროებისა თუ პოლიციის ჩამოყალიბება. ხელისუფლებას ამისი რატომღაც ეშინია, — თქვა სემენჩენკომ და დაუმატა, რომ პოროშენკოს გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც მას დეზინფორმაციას აწვდიან, აქაოდა მოხალისეები გადატრიალებას აპირებენო. სემენჩენკომ არ გამორიცხა, რომ ეს ადამიანები რუსეთზე მუშაობენ.

— ჩვენ ვემსახურებით ქვეყანას და არავითარ გადატრიალებას არ ვამზადებთ, — თქვა სემენჩენკომ, — რაც შეეხება მუკაჩევოს ტრაგედიას, მან ჩვენი სამშობლოს მტკივნეული პრობლემები გამოამზეურა. ყოველივე გულდასმით უნდა იყოს გაანალიზებული, სხვაგვარად ეს პრობლემები ვერ გადაწყდება.

მოხდება თუ არა მუკაჩევოს ტრაგედიის ობიექტური გამოძიება?

ნიკა თევზაძე

# ავსტრიის სასამართლომ ყაზახეთის უშიშროების ორი თანამშრომელი უდანაშაულოდ ცნო



ვენაში საუკუნის პროცესი დასრულდა. იხილებოდა ყაზახი ბიზნესმენების ტემირალიევისა და ხაიდეროვის მკვლელობის საქმე. განსასჯელის სკამზე ყაზახეთის უშიშროების ყოფილი თანამშრომლები მუსაევი და კუშნიაკი ისხდნენ. მკვლელობის შემკვეთად კი, არც მეტი არც ნაკლები, ყაზახეთის პრეზიდენტის ნაზარბაევის სიძე ალიევი სახელდებოდა.

— პროცესის მსვლელობაზე ძალზე იმოქმედა იმან, რომ ალიევი ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

ყაზახეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცერი მუსაევი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. რაც შეეხება კუშნიაკს, მას მხოლოდ ტემირალიევისა და ხაიდეროვის გატაცებაში მონაწილეობის მიღება დაუმტკიცდა. კუშნიაკს ორი წლით პირობითი სასჯელი აკმარეს. ორივე ყოფილი ყაზახი ჩეკისტი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.

# ავღანეთში ისლამისტების ლიდერი მოკლეს

ავღანეთის უშიშროების ძალებმა განახორციელეს დარტყმა ე.წ. „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ ადგილობრივ ფილიალ-



ზე. შედეგად ლიკვიდირებულ იქნა ამ სახელმწიფოს ავღანეთის ფილიალის ლიდერი ჰაფიზ საიდი.

— თავად ისლამისტები თავიანთი ლიდერის დაღუპვას ჯერჯერობით არ ადასტურებენ, — იტყობინება ბი-ბი-სი.

სამაგიეროდ ავღანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპერაცია, რომლის მიზანიც ჰაფიზის ლიკვიდაცია იყო, წარმატებით დასრულდა.




# მექსიკელი ნარკობარონი ციხიდან გაიქცა

მექსიკელი ნარკობარონი ხოაკინ გუსმანი ციხიდან გაიქცა. ამის თაობაზე იტყობინება ბი-ბი-სი. გუსმანი 2014 წელს დააკავეს და მეხიკოს ციხეში იმყოფებოდა.

— გუსმანის ასაყვანად აშშ-სა და მექსიკის სპეცსამსახურებს ერთობლივი ოპერაციის ჩატარება მოუხდათ, — იტყობინება ბი-ბი-სი.

გუსმანი მექსიკელ ნარკობარონებს შორის ნომერ პირველ ფიგურად ითვლება. კრიმინალურ სამყაროში ის ცნობილია მეტსახელით „ციცქნა“. ნარკოკარტელი, რომელსაც სათავეში გუსმანი ედგა, აწარმოებდა ნარკოტიკების ექსპორტს მექსიკიდან აშშ-ში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უფყნ[ფლბ,ბ,ბ

● სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი — გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის — 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა“-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა“-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა“-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 577-49-61-48 ენვერი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, დვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილ-შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასკარიდი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# გაუჩინარებული ბილეთები ვაკის პარკში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყო მყიდველებს შორის, რომლებიც დიდხანს არჩევდნენ სასურველ ბილეთს, რამაც ასევე გაწელა სამუშაო პროცესი.

ამის გამო, ფეხბურთის ფედერაციამ ქომაგების ინტერესი გაითვალისწინა და ბილეთების რეალიზაცია მათ საბოლოო ამოწურვამდე გადაწყვიტა. თუმცა, ძირითადი პრობლემა მაინც მათი მხრიდან იყო.

სალაროების გარე პერიმეტრზე წესრიგს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ, ხოლო უშუალოდ სალაროებთან — დაცვის სამსახური და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სტიუარდები.

მათგანაც იყო ფაქტები, რაც პრობლემებს ქმნიდა — რამდენიმე პოლიციელი ნაცნობ-მეგობრებს ურიგოდ ატარებდა. სწორედ ამის გამო დარჩა უამრავი რიგში მდგომი გულშემატკივარი უბილეთოდ.

ვაკის პარკის ტერიტორიაზე 50-50 კაციანი რიგები იყო შექმნილი. ისინი სიაში რამდენიმე დღით ადრე ჩაეწერნენ. გულშემატკივრების ნაწილი, რომლებიც ბილეთების გაყიდვის დღეს მივიდნენ ვაკის პარკში, სიების მიხედვით ბილეთების გაყიდვას აპროტესტებდა და ცოცხალ რიგს მოითხოვდა, თუმცა მათი პროტესტი არ დაკმაყოფილდა.

სწორედ ამ სიების მიხედვით, 22.000 ბილეთი უნდა შეხვედროდა 110 ჯგუფს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ყველა მათგანი დაწესებულ კვოტას, 4 ბილეთს იყიდდა, მაგრამ ბილეთები შეხვდა მხოლოდ 80 ჯგუფს. გამოდის 30 ჯგუფი, ანუ 1.500 ადამიანი უბილეთოდ დარჩა — ეს კი, მინიმუმ 6.000 ბილეთია. სად „გაქრა“ ამ რაოდენობის ბილეთები?

პლუს, ბოლოსკენ თითოეულ ადამიანზე ჯერ 3-3 ბილეთი გაიცა, შემდეგ — 2-2 და უკანასკნელ შვიდ კაცს თითო ბილეთი შეხვდა.

სწორედ ეს იყო უმთავრესი უკმაყოფილების მიზეზი.

ბილეთის მოსურნეები ყველაფერს აკვირდებოდნენ. სწორედ მათ აღმოაჩინეს, რომ რიგებში დამატებული იყო ზედმეტი ხალხი. ერთ ჯგუფში 61 ადამიანიც კი შევიდა. მათ ასევე აღმოაჩინეს დარღვევები პოლიციელთა მხრიდან, თუმცა უკმაყოფილების გამოხატვის შემდეგ, არანაირ რეაგირებას არ ჰქონია ადგილი — პირიქით, ხალხს დამშვიდებისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა, ძირითადი ნაწილი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, იცავდა წესრიგს — ურიგოდ გასვლის მცდელობის რამდენიმე ფაქტი აღკვეთეს. იყო მცირე ექსცესებიც თავად გულშემატკივრებში, თუმცა რაიმე სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მიდიოდა და პოლიციას ამ კუთხით დიდი სამუშაო არ ჰქონია.

ტაბლოს მუშაობის შედეგად ასევე დააფიქსირეს ფაქტი, რომ ჯგუფების გასვლის შემდეგ ბილეთების გაყიდული რაოდენობა დაშვებულზე მეტი იყო. გაუჩნდათ ეჭვი, რომ ხალხი სხვადასხვა ადგილებიდანაც ახერხებდა სალარომდე მისვლას, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის.

ასევე საფუძველს არაა მოკლებული მათი ეჭვი, რომ სიების „დაკანონება“ უფრო გადამყიდველების მიერ იქნა მოგონილი — უკვე საწყისი ჯგუფების შემდეგ საერთოდ აღარ იყო 75-ლარიანი ბილეთები. რამდენიმე ადამიანმა შეამჩნია ბილეთების ადგილზევე გადაყიდვის ფაქტი უცხოელ მოქალაქეებზე. თანხები სოლიდურიც ჟღერდა — 75 ლარიანი ბილეთის ფასი 500 დოლარი. როგორც ამბობენ, ასეთი ფასის გადახდისას ძირითადად აზერბაიჯანელი და სომეხი გულშემატკივრები აქტიურობდნენ, ხოლო ქართველი „გულშემატკივრები“ ხელს ითბობდნენ.

გულშემატკივართა გამოთქმულ ბრალდებებს უარყოფს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელთა წარმომადგენელთა თქმით, სამწუხაროა, ვინც ვერ შეძლო ბილეთების შეძენა და დარწმუნებით აცხადებენ, რომ ფედერაციას არც ერთი ბილეთი მითვისებული არ აქვს.

ბოლოს გეტყვით, რომ გაყიდვაში 18-ლარიანი, 35-ლარიანი და 75-ლარიანი ბილეთები იყო. ერთი აიდი ბარათის მფლობელი მაქსიმუმ 4 ბილეთს იძენდა და გამონაკლისი არავისთვის დაშვებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამის არაერთი მცდელობა იყო. სასურველი ბილეთის შერჩევისას, მოლარე მას პრინტერით ბეჭდავდა. სუპერთასის შეხვედრაზე მისულ ქომაგს აიდი ბარათი აღარ დასჭირდება და ბილეთზე დატანილ შტრიხკოდს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ დამონტაჟებულ ტურნიკეტს დაადებს, რის შემდეგ სტადიონის შიდა ტერიტორიაზე მოხვდება.

# ჯოკოვიჩმა უიმბლდონი მესამედ მოიგო

ბექა გოგინაშვილი

დასრულდა უიმბლდონის კიდევ ერთი გათამაშება და მისი გამარჯვებული ისევ ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა. სერბმა ჩოგბურთელმა ეს ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო. ჯოკოვიჩმა



წარმატებით დაიცვა შარშან მოპოვებული ქულები და რეიტინგში თავისი პირველი პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა.

ფინალში ნოვაკმა ჩოგბურთის ცოცხალი ლეგენდა როჯერ ფედერერი დაამარცხა და შვეიცარიელს უიმბლდონის მერვედ მოგების საშუალება არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელ ფინალშიც ეს ორი ჩოგბურთელი დაუპირისპირდა ერთმანეთს. როგორც ჩანს, ნოვაკს და როჯერს ბალახზე კონკურენტი არ ჰყავთ. ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივრისთვის ეს უიმბლდონი გამორჩეული იყო, რადგან 2006 წლის შემდეგ პირველად ამ ტურნირის ძირითად ბადეში ქართველმა ჩოგბურთელმა ითამაშა. ნიკოლოზ ბასილაშვილმა ორი შეხვედრის მოგება შეძლო და მსოფლიოს მე-19 ჩოგანი ფელიციანო ლოპესი დაამარცხა, რაც ქართველი ჩოგბურთელისთვის უდიდეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. უიმბლდონის შემდეგ ბასილაშვილმა რეიტინგში 33 პოზიციით აიმაღლა და ის ამჟამად 120-ე ადგილს იკავებს.

წლევანდელი უიმბლდონის გათამაშება არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული მოულოდნელობებით და სენსაციებით. შეხვედრებს ძირითადად ის ჩოგბურთელები იგებდნენ, რომლებსაც ეს სტატუსით შეეფერებოდათ.

ბრიტანელების მთავარი იმედი, როგორც ყოველთვის, ენდი მარეი იყო, რომელმაც 2013 წელს შეძლო უიმბლდონის მოგება. მას შემდეგ ენდიმ ორჯერ სცადა თავისი წარმატების განმეორება, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ. მარეის ძალიან უჭირს ფედერერთან უიმბლდონზე თამაში და ვერც ამჯერად შეძლო შვეიცარიელი ჩოგბურთელის დამარცხება. მათი გზები ნახევარფინალში გადაიკვეთა და ფედერერმა მეტოქე სამ სეტში დაამარცხა. მარეიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ფედერერი ისევ ძალიან ძლიერია და მისი დამარცხება ისევ ისე რთულია, როგორც ადრე. ფედერერმა თავის მხრივ იმედი გამოთქვა, რომ ამჯერად ის მოახერხებდა ფინალში გამარჯვებას და უიმბლდონის მერვედ მოგებას.

ფინალს ყველა მოუთმენლად ელოდა. ფავორიტად ჯოკოვიჩი ითვლებოდა, თუმცა ბევრი ფედერერსაც აძლევდა გამარჯვების შანსს.

შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა, თუმცა მისგან მაინც მეტს ელოდნენ. პირველი სეტი ჯოკოვიჩმა მოიგო ტაიბრეიკზე, მეორე სეტში კი ფედერერმა იმარჯვა ასევე ტაიბრეიკზე. ასეთი საინტერესო ორი სეტის შემდეგ გულშემატკივარი კიდევ უფრო დაძაბულ თამაშს ელოდა, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. ჯოკოვიჩმა მატჩის სადავეები ხელთ იგდო და შემდეგი ორი სეტი საკმაოდ იოლად ხვდა მას წილად. ფედერერი ცდილობდა შეხვედრაში გარდატეხის შეტანას, მაგრამ ჯოკოვიჩმა მას ამის საშუალება არ მისცა. საბოლოოდ გამარჯვება სერბ ჩოგბურთელს დარჩა ანგარიშით 7-6, 6-7, 6-4, 6-4.

ამრიგად, ჯოკოვიჩმა თავისი მესამე უიმბლდონი და მეცხრე დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ნოვაკმა ამ მაჩვენებლით ანდრე აგასისაც გაუსწრო, რომელსაც რვა დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული.

მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩი სიხარულს არ მალავდა. მისი თქმით ეს სეზონი მისთვის ძალიან წარმატებულია, მიუხედავად იმისა, რომ როლან გაროსის მოგება ჯოკოვიჩისთვის ჯერ კიდევ აუხდენელი ოცნებაა.

— უიმბლდონზე გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობაა. მიხარია, რომ ამ ტურნირზე ისევ მე გავხდი საუკეთესო. ფინალი მაღალ დონეზე ჩავატარე, რადგან ვიცოდი, რომ ფედერერთან ხუმრობა არ შეიძლება, — განაცხადა ნოვაკმა.

ფედერერმა აღიარა, რომ ფინალში ვერ აჩვენა საუკეთესო თამაში და დამსახურებულად დამარცხდა.

ფედერერი აგვისტოში 34 წლის ხდება, მაგრამ ჯერჯერობით არ ფიქრობს ჩოგბურთისთვის თავის დანებებას. როჯერის თქმით, მას ჯერ კიდევ შეუძლია დიდი სლემის ტურნირების მოგება.

# ქართველმა 20-წლამდელებმა ვერც კოსოვოსთან იმარჯვეს

უნგრეთის ქალაქ სეკეშფეხერვარში მიმდინარე ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში საქართველოს ნაკრებმა მესამე მატჩი წააგო. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ლუქსემბურგსა და პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩი კოსოვოსთან 65:77 დათმო.

ქართველების მსგავსად, კოსოვო იყო გუნდი, რომელსაც „ბ“ ჯგუფში გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული. საქართველოსთან მატჩში კოსოვოელები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და პირველი პერიოდის 5 ქულით მოგების შემდეგ დიდი შესვენებისთვის სოლიდურ უპირატესობას დაეპატრონნენ — 45:29.

მეორე ტაიმში ქართველებმა ვითარების შეცვლა ვეღარ მოახერხეს და კოსოვოსთან მარცხის შემდეგ ჯგუფში დარჩენილი 1 მატჩის მიუხედავად, ბოლო ადგილზე გავიდნენ. 15 ქულითა და 10 მოხსნით ქართველთაგან მაიზერ რევაზაშვილი გამოირჩა. 15 ქულა მიითვალა ნუგზარ აბულაძემ.

საქართველოს ნაკრები ჯგუფის ბოლო მატჩს ლიდერ და პირველობაგანაღდებულ მონტენეგროსთან გამართავს, რის შემდეგაც 9-18 ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ქართველები „ა“ და „ბ“ ჯგუფიდან ვერგასულ გუნდებთან ერთად ახალ, საკვალიფიკაციო ჯგუფს შეადგენენ და რომელ ადგილსაც დაიკავებენ, მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფში პარალელურ ადგილზე გასულთან შესაბამისი ადგილისთვის ითამაშებენ.

# ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასისთვის მზადებას აგრძელებენ

საქართველოს რაგბის ნაკრები მთელი ძალებით ემზადება მსოფლიო თასისთვის და შევარდენზე სანაკრებო ბაზაზე შეკრებას აგრძელებს. ჟურნალისტებისთვის სანაკრებო ბაზა ჯერ დახურულია, ამიტომ ინფორმაციას რაგბის კავშირის პრესსამსახური გვაწვდის.

მათი თქმით, მილტონ ჰეიგის თაოსნობით და ქელვინ მორისის ფიზმომზადების პროგრამით, „ბორჯღალოსნებმა“ ინსტენსიური, ფიტნესზე ორიენტირებული შეკრების პირველი ორი კვირა ჩაამთავრეს. მზადების პროცესის პირველ შესვენებამდე ბიჭებს კიდევ ერთი კვირის გავლა მოუწევთ, რომელიც სამწვრთნელო შტაბის თქმით, უფრო დატვირთული იქნება.

მსოფლიო თასისწინა შეკრების პირველი, სამკვირიანი ფაზის დასრულების შემდეგ, „ბორჯღალოსნები“ ერთ კვირას დაისვენებენ. მომზადების მეორე ფაზა შევარდენის სანაკრებო ბაზაზე 9 დღიანი შეკრებით განახლდება, რომლის შემდეგ ნაკრები პოლონეთში გაემგზავრება, სადაც 10 დღის განმავლობაში კრიოთერაპიის დახმარებით განაგრძობენ მომზადებას.

სპეციალური კრიოკაბინები ფორმაში ჩადგომის მაქსიმალურად სწრაფ ეფექტს იძლევა. ეს ეტაპი ასევე ფიზმომზადებას დაეთმობა. რაც შეეხება სარაგბო კუთხით ვარჯიშს, ის მხოლოდ ინგლისში შეკრებაზე გამგზავრების შემდეგ დაიწყება, როდესაც ნაკრები საბოლოო მოსამზადებელ ეტაპზე გადავა.

პოლონეთის შემდეგ, „ბორჯღალოსნები“ ერთ კვირას შინ დაისვენებენ და 24 აგვისტოს, მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ფაზის გასავლელად ინგლისში გაემგზავრებიან.

# შვიდკაცა ნაკრები ევროპაში მეათე ადგილამდე დაეშვა

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა „გრან პრის“ ბოლო, ექსეთერის ეტაპზე პულური სტადია მეხუთე ნომრად დაასრულა, მაგრამ პლეი-ოფში სამივე მატჩი წააგო და მერვე ადგილამდე დაეშვა.

რაკი რიოში პირდაპირ გასვლისა და „მსოფლიო რეპეშაჟშიც“ ეგრევე მოხვედრის შანსი ადრევე დავკარგეთ, ჩვენი გუნდისთვის ინგლისში ასპარეზობა „ევროპის რეპეშაჟისთვის“ მზადების ბოლო ეტაპად იქცა.

სასიამოვნო ის არის, რომ ავიმატეთ სამი ოსტატი — კაპიტანი გიორგი შკინინი, დავით ლოსაბერიძე, მეთიუ ჯანი (მათე ჯანაშვილი).

შკინინი-ჯანი-კიკვაძის „ხაზმა“ შემოქმედებითად უტია. მორკინალთაგან ლოსაბერიძემ გამოიჩინა თავი და სათადარიგო ჰავბექი, ლევან გოგოლაშვილიც კარგად ერთვებოდა თამაშში, მაგრამ ძალიან ბევრს, ყველა სხვა გუნდზე მეტად, ვჯარიმდებოდით.

14 წუთა მატჩში ბარემ 7-ჯერ, თანაც ყველანაირი მიზეზით: შეტევაში — ბოჭვაზე ბურთის შეფერხებისთვის, დაცვაში კი — რაქში გვერდიდან შესვლისა და ოფსაიდისთვის.

გერმანიასთან სულცა წყვილი სინბინით ზედიზედ 4 წუთი ვიშვიდკაცეთ 6 კაცის ამარა და ბურთის მოხელთებაც ვერ მოვახერხეთ.

გუნდი ლიტვასთან ნულზე დამარცხდა, რაც ჩვენი რანგის სარაგბო ქვეყანას არ ეკადრება.

გეტყვით, რომ საფრანგეთი მაისში დასრულებულ „მსოფლიო სერიაში“ მე-11 ადგილზე გავიდა, მაგრამ „გრან პრის“ სერიოზულად მოეკიდა, ჩინებული გუნდი შეკრიბა, სამ ეტაპზე 18-ვე თამაში მოიგო, ევროპაში ზედიზედ მეორედ იჩემპიონა და რიოს საგზური ახლავე მიიღო.

ესპანეთმა მეოთხედფინალში სძლია მდევარი რუსეთს, ევროპაში მეორე ადგილი დაიბევა და გავიდა საგაისო „მსოფლიო რეპეშაჟში“, ხოლო „გრან პრის“ რვავე ხელმოცარულს კი დამდეგ უიქენდზე, ლისაბონში მოუწევს დიდი ბრძოლების გადატანა.

ჩვენ კი ევროპაში აქამდე უცუდესი შედეგი — მე-10 ადგილი 2005 წელს გვქონდა და რაოდენ სამწუხაროა, რომ 10 წლის თავზე, რაგბის ოლიმპიური აღორძინების წინ, ამავე პოზიციამდე დავეშვით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

**12 ივლისი**

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-კუბა | 2:0 |
| გვატემალა-მექსიკა | 0:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ჰაკენი | 1:0 |
| აიკი-სუნდსვალდი | 4:1 |
| გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 0:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-სარპსბორგი | 0:0 |
| მიონდალენი-ბოდო გლიმტი | 1:2 |
| რუსენბორგი-ოდ გრელანდი | 3:0 |
| ტრომსო-სტარტი | 2:1 |
| ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი | 1:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-კუუპიო | 1:0 |
| სეინეიოკი-კტპ | 1:0 |
| იარო-ვაასა | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ფედერერი | 7:6;6:7;6:4;6:3 |

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

599-90-54-78, 234-02-38

## კალეიდოსკოპი

# პერმში კოღოები ყველაზე გემრიელ გოგონას გამოავლენენ



პერმის ოლქის ქალაქ ბერეზნიკში 17-დან 19 ივლისამდე რუსული კოღოს ფესტივალი გაიმართება, რომელზეც ყველაზე გემრიელ გოგონას აირჩევენ.

ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის ნატალია პარამონოვას თქმით, კონკურსში მონაწილეობას ის ქალები მიიღებენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი მწერებს ძალიან უყვართ. კონკურსის გამარჯვებული სიმბოლურ პრიზს მიიღებს.

— მსურველთაგან შეირჩევა პრეტენდენტები, რომლებსაც საცვლებამდე გაშიშვლება მოუწევთ და ისინი ასეთ მდგომარეობაში 20 წუთი გაჩერდებიან, ამის შემდეგ კი ექსპერტებისგან შემდგარი ჟიური, რომელშიც ექიმიც იქნება, დაკბენილთა სხეულებს დაათვალიერებენ. გამარჯვებულად ის გოგონა გამოცხადდება, რომელსაც ყველაზე მეტი ნაკბენი აღმოაჩნდება, — განაცხადა პარამონოვამ.

მან ასევე დაამატა, რომ გასულ წელს კონკურსი ცუდი ამინდის გამო ჩაიშალა, ხოლო 2013 წელს გაიმარჯვა კონკურსის მონაწილემ, რომლის სხეულზეც ექსპერტებმა 100 ნაკბენი დაითვალეს.

# მიცვალებულის ყვავილის“ ყვავილობა ონლაინ რეჟიმში გადაიცემა



ბელგიაში ე.წ. „მიცვალებულის ყვავილის“ ყვავილობისთვის თვალის დევნება ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი. უზარმაზარ ყვავილთან ვებ-კამერა გენტის უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღში უკვე ამუშავდა, ხოლო მისი ტრანსლაციის ხილვა სასწავლებლის ვებ-გვერდზეა შესაძლებელი.

აღნიშნული ყვავილი თავისი ცუდი არომატითაა ცნობილი. მისი ყვავილობა ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ საღამოს იშლება მცირე მდედრი ყვავილი, ხოლო მეორე საღამოს მამრობითი ყვავილის დანახვაა შესაძლებელი.

— ჩვენ ყვავილობას ფართო ფოთლის შიგნიდან სარკეების დახმარებით გადავიღებთ, — განაცხადა უნივერსიტეტის პროფესორმა პაულ გეტგებერმა, რომელმაც იქვე დასძინა, რომ ასეთი სანახაობის გამოტოვება დაუშვებელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## საერთაშორისო

# ოლეგ ტაბაკოვის შავრაზმული გამოხტომა



ცნობილი რუსი მსახიობი ოლეგ ტაბაკოვი თვლის, რომ რუსეთის ყველა დღევანდელ უბედურებაში დამნაშავენი უკრაინელები არიან. ტაბაკოვის აზრით, უკრაინული ნაციონალიზმი რომ არა, დღეს რუსეთში სულ სხვა ვითარება იქნებოდა.

— რუსეთი გონს მოდიოდა სტალინური ტერორის, ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმისა და ბრეჟნევის უძრაობის ხანის შემდეგ. გორბაჩოვის დროს ქვეყანამ თავისუფლად სუნთქვა დაიწყო. ყოველივე ნორმალური, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნით უნდა დასრულებულიყო. ამ დროს უკრაინელებმა ზურგში მახვილი ჩაგვცეს, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა! ნაციონალისტურმა გამოსვლებმა კიევში, ლვოვსა თუ სხვა ქალაქებში საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, დაასამარა, — აცხადებს ტაბაკოვი.

მსახიობის აზრით, პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც არსებობდა შანსი, რომ უკვე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის იდეალების საფუძველზე ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე გარკვეული ერთიანობა წარმოქმნილიყო. ამას ხელი კვლავ უკრაინამ შეუშალა.

— ისინი ჭირვეული ავყია ბავშვებივით იქცეოდნენ. ყოველ წამს ცდილობდნენ ხაზი გაესვათ, რომ დამოუკიდებლები არიან, — ამბობს ტაბაკოვი.

ტაბაკოვი დონბასის ტრაგედიასაც შეეხო. ის ამბობს, რომ ყველაფერში, რაც დღეს დონბასში ხდება, მხოლოდ უკრაინელები არიან დამნაშავენი.

— დანგრეულია მთელი ქალაქები. ათასობით ადამიანი, უმეტესწილად რუსები, იძულებულნი არიან მშობლიური ადგილებიდან გადაიხვეწონ. უკრაინელმა ნაციონალისტებმა დონბასი გაანადგურეს! — აცხადებს მსახიობი.

ტაბაკოვი ასეთი აბსურდული მტკიცებულებების გარდა, შეურაცხმყოფელ გამოთქმებსაც არ ერიდება. ის აშკარად აცხადებს, რომ უკრაინელები თურმე პრიმიტიული, აგრესიული ავადმყოფურად ამბიციური ხალხია.

— არავითარი უკრაინული კულტურა არ არსებობს! თვით შევჩენკოსაც კი არ შეიძლება პოეტი ვუწოდოთ. ის უფრო პოლიტიკოსია, ვიდრე ხელოვანი. მთელს ამ ე.წ. „უკრაინულ კულტურაში“ არის რაღაც პროვინციული, მეორეხარისხოვანი, — ამტკიცებს ტაბაკოვი.

მსახიობი უკრაინელ ხალხსაც პროვინციელებად, ჩამორჩენილებად და მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. ტაბაკოვის აზრით, ამას თავად უკრაინელებიც აცნობიერებენ. აქედანაა მათი ამბიციურობა და აგრესიულობა.

— ეს ყველაფერი არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგია, — ამბობს ტაბაკოვი.

რუსი მსახიობის ასეთმა ხულიგნურმა, ისტერიულმა გამოხტომამ უკრაინაში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ფილიპ ილიენკომ განაცხადა, რომ ესაა გამოხტომა შავრაზმულ და ფაშისტურ სტილში.

— ტაბაკოვმა „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებაში“ ნაცისტი გენერლის ვალტერ შელენბერგის როლი შეასრულა. შესაძლოა ამ როლიდან დღემდე ვერ გამოვიდა, —აცხადებს ილიენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ასოციაცია 'მესხეთი-2001~-ის 15 წლის იუბილე



მიმდინარე წელს ასოციაცია 'მესხეთი _ 2001~-ს დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. ასოციაცია მისი პრეზიდენტის, პროფესორ ამირან მექვაბიშვილის სახით დაუღალავად შრომობს მესხეთის კუთხის აღორძინებისათვის და საკუთარი წვლილი შეაქვს აღნიშნული მხარის განვითარების საქმეში.

ამ დღეებში საზეიმოდ აღინიშნა ასოციაციის საიუბილეო თარიღი და ამ მიზნით შეიკრიბა ასოციაციის შემადგენლობის თითქმის ყველა წევრი. მოხსენებით გამოვიდა ასოციაციის პრეზიდენტი ამირან მექვაბიშვილი, რომელმაც განვლილი პერიოდის მუშაობა შეაჯამა და დასახა ახალი ამოცანები. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: ალექსანდრე შათირიშვილი _ ასოციაციის საპატიო წევრი, თელავის რაიონის გამგებელი; გურამ გუნავა _ ასოციაციის საპატიო წევრი, საზოგადო მოღვაწე; გამგეობის წევრები: ნანი ბიეგაძე და ამირან დურგლიშვილი. ასოციაციის პრეზიდიუმს მისალოცი სიტყვით მიმართეს პროფესორებმა: მანანა ალადაშვილმა და ხვთისავარ არჩემაშვილმა, სტუდენტმა ნატო შამფირიანმა.

ღონისძიების ფარგლებში გაიხსენეს ამაგდარი ადამიანები ნესტორ დალალიშვილი, ალექსანდრე ზაგაშვილი, ვასილ ფარულავა, ვახტანგ ცხვარიაშვილი.

საიუბილეო შეხვედრაზე შემუშავდა სამომავლო სამოქმედო გეგმა. დასასრულს გაიმართა კონცერტი.

*ზურაბ სანდრიაძე, პროფესორი*

# საბერძნეთს უკანასკნელი შანსი მისცეს

ევროკავშირის სამიტი, სადაც საბერძნეთის საკითხი უნდა განხილულიყო, დასრულდა. ევროსაბჭოს თავმჯდომარემ დონალდ ტუსკმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებასთან



მოლაპარაკებები რთულად წარიმართა. ევროპა ათენის ანტიკრიზისული გეგმით უკმაყოფილო იყო და თვლიდა, რომ ის ზოგადი ხასიათისაა.

— ტრაგედია არ იქნება, თუკი საბერძნეთი ერთხანს ევროზონას დატოვებს, — განაცხადა ანგელა მერკელმა.

საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი თავის მხრივ მიიჩნევდა, რომ პრობლემა მოგვარებადია. საკმაოდ მძაფრი დისკუსიების შემდეგ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. საბერძნეთი ევროზონაში რჩება. ევროპა, თავის მხრივ, ამ ქვეყანას დახმარებისათვის მორიგ ტრანშს გამოუყოფს, თუმცა საბერძნეთის ვალი ევროზონის ქვეყნებისადმი კოლოსალურია.

— საბერძნეთს უკანასკნელი შანსი მისცეს, — ასეთია „დოიჩე ველეს“ კომენტარი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## fcnhjghjuyjpb

14 ივლისისთვის



**ვერძი** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ვარსკვლავების განლაგება ფინანსურ დანაკარგზე მიუთითებს. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **კურო** — აქტიურობა რეკომენდებული არ არის. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. ნუ აჩქარდებით, ერიდეთ კამათს გარშემომყოფებთან. **ტყუპები** — სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიანი კონტაქტებისას. დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ერიდეთ მნიშვნელოვან საბუთებზე ხელის მოწერას. **კირჩხიბი** — უხილავი კეთილი ძალა გმფარველობთ. ნურაფრის გეშინიათ, თამამად იმოქმედეთ, არ დაივიწყოთ მეგობრები და საღამოს მოინახულეთ. **ლომი** — კარიერაზე ფიქრი დღეს არ ღირს. იზრუნეთ პირად ცხოვრებაზე. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი — ბავშვებს. **ქალწული** — პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან, თუმცაღა, მერკურის რეგრესიული მოძრაობა მიანიშნებს, რომ შესაძლოა მოგატყუონ. **სასწორი** — მძიმე დღეა, მიზნის მისაღწევად მუხლჩაუხრელი შრომა გჭირდებათ. ნუ მოდუნდებით, წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **ღრიანკალი** — წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, დღეს საკმაოდ ძლიერი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** — თქვენი კრეატიულობის წყალობით ახალ საქმეს წამოიწყებთ და საკმაოდ წარმატებითაც, თუმცა ზედმეტად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** — მთელი ძალების კონცენტრაცია მოახდინეთ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა. მთელი ყურადღება სამუშაოს დაუთმეთ. ქალი მერწყულების მომხიბვლელობა დღეს ბევრს გააოცებს. **თევზები** — ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ნუ წახვალთ სამოგზაუროდ, არც ქალაქგარეთ გასვლა ღირს. ერიდეთ საქმიან მოლაპარაკებებს.

უბცეჳღტ,ს ,ტღყბტჳ ღქტს=

## hჳxცღxჳლბ ,



**შვეულად:** 1. ძველი გერმანული ტომი; 2. ძრავა, რომელიც წყლის ან აირის ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად; 3. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 4. ილეთი ჭიდაობაში; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 7. მუხის ნაყოფი; 11. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ფრანგი მოდელიორი; 16. პატარა რესტორანი საფრანგეთში; 17. საჭმელი სოკო; 18. მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 8. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 12. მღრღნელი ჭია-მატლების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 13. ტბა შუა აზიაში; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 19. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 21. რეგიონი კახეთში; 23. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 24. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 25. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაყოფის გზით; 26. მოძღვრება რელიგიის შესახებ.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვტპიბ უფვჯმდტ.ყტ,ექბ რპჯცდჯპლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 3. ივრითი; 8. კითარა; 9. ლანა; 14. ავარა; 15. კანონი; 17. რაზა; 20. ნავახა; 22. ლარდი; 23. მაკეტი; 25. რქა; 26. ოსტი; 27. ამია; 28. ნამსახური.

**შვეულად:** 1. ბალი; 2. ირი; 3. ინდიკანი; 4. თუ; 5. ვილანელა; 6. პანო; 7. კასკეტი; 10. ნავი; 11. ედელვაისი; 12. კარაკასი; 13. ვაზა; 16. კოიოტი; 18. პრიმატი; 19. ემისია; 21. ხალხი; 24. ტანკი.

### სკანვორდის პასუხები:

1. ბალასტი; 2. პიცა; 3. ჩარლი; 4. აჩმა; 5. არბო; 6. კომეტა; 7. ჩალა; 8. ბატი; 9. ენა; 10. აბრისი; 11. რკო; 12. სიმი; 13. ტატრა; 14. „ფაუსტი“; 15. ალეკ; 16. სიმონა; 17. „ტრემბიტა“; 18. მისის; 19. კამილ; 20. კიტა; 21. აკიტა; 22. უბე; 23. ირი; 24. კარატი; 25. ამონალი; 26. მიკადო; 27. მარტი; 28. მარსი; 29. სი; 30. ატრია; 31. „ნანა“; 32. დეპო; 33. პა; 34. არისა; 35. ანანკე; 36. ლორნეტი.

**სურათებზე:** ალანის მორისეტი; მარკ ოვერმარსი.

# ოთო ნემსაძე ცოლს გაშორდა

ეკა ირემაშვილი

ჯეოსტარელი ოთო ნემსაძე ცოლს გაშორდა. წყვილის ერთობლივი ცხოვრება ერთ წელს გაგრძელდა.

ოთო ნემსაძემ და თამთა კუპრავამ ერთმანეთი სოციალური ქსელის საშუალებით გაიცნეს, თუმცა მანამდე თამთა მომღერალს ტელეეკრანებიდან ადამიანს მიუძღვნა.

უკვე დაოჯახებული ოთო უკრაინულ „გოისში“ მონაწილეობის მისაღებად წავიდა, სადაც მოგვიანებით მეუღლემაც ჩააკითხა. ოთო ფინალისტი გახდა, თუმცა გამარჯვება ვერ შეძლო და მეორე ადგილს დასჯერდა.

როგორც ამბობენ, თამთა ამერიკაში დაბრუნდა. წყვილის დაშორების მიზეზი არა-



იცნობდა. გოგონა ამერიკაში ცხოვრობდა და როცა საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ თქვა, რომ ეს ოთოს გამო გააკეთა.

შეყვარებული წყვილი ჟურნალისტებს ინტერვიუებსაც აძლევდა და ამბობდა, რომ ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ. მათ ღია ცის ქვეშ ულამაზესი ქორწილი გადაიხადეს. დიდი სიყვარულის ნიშნად ოთომ სიმღერა დაწერა, მასზე კლიპი გადაიღო და საყვარელ ვინ იცის, რადგან ისინი ჟურნალისტებთან ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ. ახლა ოთო გარდასახვის შოუში „ერთი ერთში“ მონაწილეობს, სადაც ფინალისტებს შორის მოხვდა და გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. მომღერალს თავისი გულშემატკივრების დიდი იმედი აქვს, რადგან სწორედ მათი მხარდაჭერით, მომღერალმა „ჯეოსტარის“ და „ბრავოს“ მოგება შეძლო.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლ8,8,ბ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლეო ჩიქავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლეო ჩიქავა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგია იუწყება, რომ გარდაიცვალა კოლეგიის წევრი, თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლეო ლავრენტის ძე ჩიქავა**

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ტურიზმის აკადემიის კოლექტივი მისი დამფუძნებლის ამირან მექვაბიშვილის სახელით თანაუგრძნობს ალექსანდრე შათირიშვილს ძვირფასი სიძის, სახელოვანი ახალგაზრდის

**არჩილ ჯავახიშვილის**

გარდაცვალების გამო.

დალილა ხორავა და თამაზ ხუბუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

**შოთა ანჯაფარიძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ ანჯაფარიძეების ოჯახსა და მათ სანათესავოს.

დალილა ხორავა და თამაზ ხუბუა დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მანანა ლემონჯავასა და ომარ ზაქარაიას ძმისშვილისა და ცოლის ძმისშვილის

**ზურაბ ლემონჯავას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლ8,8,ბ ვბბქ8,ფ .ჯდ8კლქ87
რდბპბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლ8ზ

# ნინო ქათამაძე: სიმღერის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია“

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნინო ქათამაძე ცხელი ზაფხულის მიუხედავად, საკონცერტო ტურნეს განაგრძობს. მოღერალს ომსკს სტუმრობდა, სადაც როგორც მოსალოდნელი იყო, მისმა კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. ნინოს ინტერვიუ ადგილობრივმა ტელევიზიამ ჩამოართვა, სადაც ქართველმა ხელოვანმა თავის შემოქმედებაზე გულწრფელად ისაუბრა.

ადგილობრივი ჟურნალისტი პირველ რიგში იმით დაინტერესდა, რა ენაზე მღერის ნინო ქათამაძე, რაზეც მომღერალმა ასე უპასუხა:

— ქართველი ვარ და, რა თქმა უნდა, ვმღერი ქართულად, სადაც ემოციები და გრძნობები მთელ სიტყვებშია ჩართული, ამ სიტყვების ენერგეტიკას და ფონეტიკას ვიყენებ. თუმცა გამოგიტყდებით, ჩიტების ენასაც ვიყენებ. ამაზე კრიტიკოსებიც წერენ და ნაწილობრივ ვეთანხმები კიდეც. ჩემთვის მთავარია, მუსიკა ჟღერდეს, არ გაჩერდეს შეგრძნებები რაიმე კონკრეტულ ადგილას. რა მნიშვნელობა აქვს ჩიტის ენა იქნება თუ უცხოპლანეტელის?! მთავარია, რომ მაქსიმალური ემოცია იყოს ყველა კონცერტზე და ეს იყოს მართალი, გულწრფელი და განუმეორებელი. ხანდახან მართლაც ვიგონებ სიტყვებს, 50 პროცენტი რეალური სიტყვებია, 50 პროცენტი მუსიკას მოაქვს და ის წინასწარ არ არის მოგონილი. მათ უფრო მეტი ფერი, სიყვარული აქვთ, ვიდრე სიტყვებს, ქარს, მზეს. ამ შემთხვევაში თავს აბსოლუტურად თავისუფლად ვგრძნობ. ეს ჩემი შინაგანი მდგომარეობაა იმ მომენტში. ბავშვები ხშირად იგონებენ თავიანთ ენას და ალბათ, მეც ჩავრჩი ბავშვობაში. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ის სიტყვები, რომლებსაც ბავშვობაში ვიყენებდი, ახლა ვიმეორებ ჩემს მუსიკაში, ჩემთვის მთავარი მაინც სულიერი მდგომარეობაა. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ბავშვურად სიყვარული, აღფრთოვანება, მინდობა. ყოველთვის ჯობია გიყვარდეს, ვიდრე გეზიზღებოდეს. კედელი ცხოვრებაში სულაც არ არის საჭირო, მთავარია იყოს გულწრფელი ემოციები. დაუკვირდით, სადაც ფანჯრები ღიაა, იქ შედის სინათლე, სითბო, მზე, სადაც ჩაკეტილია, იქ სიბნელე და სიცივეა, ამიტომ გავაღოთ ყველამ ჩვენი გულის კარები და გვიყვარდეს ერთმანეთი.

***— თქვენთვის ყველაზე კარგი მუსიკა რომელია?***

— ყველაზე კარგი ბუნებრივი მუსიკაა. საკონცერტო დღე კი უკვე წარმატებულია მაშინ, როცა ოთახში შემოდის მზე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ოთახი ყოველთვის შემოდის მზე, ამაში, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ იგულისხმება მზე. ჩემთან ყოველთვის მზეა, როცა გარეთ წვიმს, თოვს, ქარია და სუსხია. მთავარია ადამიანის შინაგანი ბუნება. კონცერტის დროს მარტო იმაზე ვფიქრობ, გადავცე მაყურებელს ყველაფერი, რაც შინაგანად მაქვს დაგროვილი, ვიყო გულწრფელი და მართალი. გავუზიარო მათ ჩემი ემოციები. ჩემთვის ადამიანის სასიმღერო ხმაც ბუნების საჩუქარი და ინსტრუმენტია. იმისიც მჯერა, რომ თითოეული ხმა გავს მის მფლობელ ადამიანს, ისევე როგორც ყველა ადამიანი გავს თავის ხმას. ამით იმის განსაზღვრაც კი შეიძლება როგორია ადამიანი, კეთილი თუ ბოროტი, გულწრფელი თუ მატყუარა, ზოგადი წარმოდგენა შეგექმნება ადამიანზე მისი ხმით. ნებისმიერი ადამიანის სულს შეუძლია



კარგად სიმღერა და არავის უნდა იყოს ცუდი. ყველას უნდა, რომ ყველასთვის კარგი იყოს, თუმცა ცხოვრება სასტიკია, მაგრამ თუ ვიპოვით ძალას, მოვუსმინოთ ადამიანს, მასში აუცილებლად ვიპოვით სილამაზის მცირე ნაწილს მაინც, რომელიც გვინდა, რომ ვიპოვოთ. ხომ გაგიგიათ, ვინც ეძებს, ის პოულობსო. პატარა მარცვლის პოვნაც კი უკვე დიდი საქმეა, იმიტომ, რომ მარცვლიდან ამოვა ნაყოფი, ის გაიკეთებს ყვავილს და გახდება დიდი. თუ ადამიანს ვეტყვით, რომ ის ცუდია ე.ი. ჩვენ მასში ვერ ვხედავთ ვერაფერს კარგს და მხოლოდ ცუდს ვამჩნევთ, ამიტომ მინდა ყველამ მხოლოდ კარგი ეძებოს სხვა ადამიანში. მთავარი ფინალია და ის უნდა იყოს ღირსეული. ჩვენ ხომ სიყვარულს ბოლოდან არ ვიწყებთ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, გავიაროთ ეტაპები, მივიდეთ ფინალში და მერე მოვკვდეთ. თუ სიყვარულით მიდიხარ ბოლოში, ყველაფერი ლამაზია და სიკვდილსაც კი მადლობას ეუბნები.

***— მათაც კი მადლობას ეტყვით, ვინც გული გატკინათ?***

— როცა გულს მტკენენ, ჩემთვის საკმარისია მოვისმინო, წამიერად განვიცადო და მაშინვე მავიწყდება. არ შემიძლია დიდხანს ვიყო ნაწყენი, დიდი ხნის წინ გამოვედი იმ ასაკიდან, როცა სულ უკმაყოფილო უნდა იყო. მთავარია სიყვარულის ტარება შეგეძლოს და სიყვარულით ყოველთვის სავსე ხარ, ამიტომ მისი ტარება ადვილი არ არის, ეს უდიდესი საგანძურია, რომელსაც ისე უნდა მოუფრთხილდე, რომ არც ერთი მხრიდან არ დააზიანო, ამისთვის კი სულ მცირე ბიძგიც საკმარისია. სიყვარულში გაერთიანებულია სიხარულიც, ტკივილიც, მოგონებებიც და დიდი ბედნიერებაც.

***— ნინო, თქვენი შვილიც მღერის?***

— ფანტასტიური სმენა აქვს, სასწაული გემოვნება აქვს. კარგი ბიჭია, კეთილი, ჭკვიანი. ყოველთვის მენტარება, როცა საშუალება გვაქვს, მამიკოს ჩამოყავს ჩემთან, კონცერტებზე.

## კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინგლისური თარგმანი გარდიანის“ სარეკომენდაციო სიაშია

ქართველი კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დღემდე აქტუალურია. კვაჭი კვაჭანტირაძის სახის შექმნით მიხეილ ჯავახიშვილმა იმჟამინდელი სოციალური წყობის შინაარსი გამოააშკარავა, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში ასეთი „გმირი“ წარმოშვას, ლიტერატურული კუთხით კი სამწერლო ოსტატობის მაღალი კლასი აჩვენა.

რომანი გასულ წელს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით ინგლისურად ითარგმნა. დღეს კი ცნობილი გახდა, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინგლისური თარგმანი „გარდიანის“ სარეკომენდაციო სიაში მოხვდა. ინფორმაციას ამის შესახებ კულტურის სამინისტრო ავრცელებს:

— 2014 წელს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსებული „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინგლისური თარგმანი „გარდიანის“ სარეკომენდაციო სიაში მოხვდა!

ეკა ირემაშვილი

## პირველ ქართველ მოცეკვავეს სამებაში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

პირველ ქართველ პროფესიონალ მოცეკვავეს ალექსანდრე ალექსიძე-სონღულაშვილს სამების ტაძარში გაიხსენებენ. 15 ივლისს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პირველი ქართველი პროფესიონალი მოცეკვავის ალექსანდრე ალექსიძე-სონღულაშვილის ბიოგრაფიული დეტალების და შემოქმედებითი ღვაწლის ამსახველი გამოფენა-პრეზენტაცია.

პირველი ქართველი პროფესიონალი მოცეკვავის ალექსანდრე გიორგის ძე ალექსიძე-სონღულაშვილის ბიოგრაფიული დეტალების, შემოქმედებითი ღვაწლის ამსახველი გამოფენა-პრეზენტაცია მისი დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 80 წლისთავს მიეძღვნება. ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ვალერიან შიუკაშვილი სიმსივნით დაავადებულებისთვის დაუკრავს

პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი სიმსივნით დაავადებული პატარებისთვის დაუკრავს. 16 ივლისს მუსიკოსი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს, რომელიც მოძრაობის თეატრში ჩატარდება. „შემოგვიერთდით, სიკეთე უსასრულოა“, — ასეთი მოწოდება შეარჩიეს საქველმოქმედო საღამოსთვის მისმა ორგანიზატორებმა.

პიანისტის გადაწყვეტილებით, მთლიანი შემოსავალი ბერი ანდრიას ფონდს გადაეცემა. ფონდი სრულიად უანგაროდ ეხმარება სოლიდური სიმსივნით დაავადებულ 18 წლამდე მოზარდებს და მათ ოჯახებს ყველა იმ საქმეში, რაც ბავშვთა მკურნალობას, რეაბილიტაციას და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას ეხება. ფონდი არც პატარების გართობას და დასვენებას ივიწყებს და მშობლებთან ერთად მათ რეაბილიტაციაზე და კომფორტულ დასვენებაზე ზრუნავს.

ეკა ირემაშვილი

## TV პროგრამა

**სამშაბათი 14 ივლისი**

**08.00** დ/ფ "ოდისეები" **08.30** ან./ფ "ზუ", "მადმუაზელ ზაზი" **09.30** "სადილის დრო" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.20** ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** **11.20** "საუკუნის პორტრეტები" **12.30** მხ/ფ **"ბინი"** **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00, 21.00** ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ **"უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში"** **01.00** მხ/ფ **"შიში"** (რ.უიზერსპუნი) **02.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **20.00** "მოამბე" (**5** ენებზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35,** ქრონიკა **10.05** სერ.**"კარმა"** **11.20** სერ.**"ბოშა ქალი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ.**"ორი ბედი"** **17.35** სერ.**"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ.**"გზაჯვარედინი"** **20.55**სერ.**"შავი ვარდი"** **22.00**ერთი ერთში **00.00**შალვა რამიშვილის შოუ **01.00**მხ/ფ **"სამარცხვინო გასეირნება"** (ჯ.მერდსენი) **02.45**მხ/ფ **"ბობი "ზის" სიკვდილი და ცხოვრება"** (ჯ ლუისი) **04.25**მხ/ფ **"სხვისი ქორწილი"** (დ. რიჩარდსი)

**06.30, 15.40** სერ.**"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ.**"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ.**"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ.**"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი - დას. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** სპექტაკლი **"ეს არ უნდა მომხდარიყო...."** **07.15** დოკ.ფილმი "წმინდა ქალაქი-სვეტიცხოველი" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ბაღდათი **11.00** თაობა ზეტი **11.30** ჩვენი ამბავი-ირაკლი წერეთელი-მარქსისტული იდეოლოგიის მსხვერპლი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"მამლუქი"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** აქტუალური თემა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** სათავეებთან "ქართული ასომთავრული" **16.20** დოკ. ფ. "ვლაქერნას სამოსელი" **17.00** მგზავრები წუთისოფლისა "პატარძეული" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თვენი **19.50** მუს.პაუზა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფილ. **00.30** "ერთსულოვნების" სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"სონიკ იქსი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **12.30, 18.30**გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05 სერიალი "ნარჩიტა"** **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.00 სერიალი "კატერინა"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი"**22.00** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდპბც4 ყტ,ფპსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2477

ევრო — 2.5145

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4862

100 რუსული რუბლი 3.9688

## ამინდის პროგნოზი 14 ივლისისთვის






## კალეიდოსკოპი

### მის აშშ" ფიტნეს-ინსტრუქტორი გახდა



ოკლაჰომას შტატის მცხოვრები ოლივია ჯორდანი გახდა სილამაზის კონკურსის „მის აშშ-ს" გამარჯვებული, რომელიც 64-ედ ჩატარდა.

ჟიურის კითხვებზე პასუხისას ჯორდანმა აშშ-ს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რასობრივი ურთიერთობები დაასახელა. 26 წლის გოგონას სილამაზის დედოფლის გვირგვინი გასული წლის კონკურსის გამარჯვებულმა ნია სანჩესმა გადასცა. რამდენიმე თვეში ჯორდანი აშშ-ს „მის სამყაროს" კონკურსზე წარადგენს.

ჯორდანმა ბოსტონის უნივერსიტეტი მედიცინის ბაკალავრის ხარისხით დაამთავრა. სწავლის დროს ის ფიტნეს-ინსტრუქტორად და პერსონალურ მწვრთნელად მუშაობდა. არც ისე დიდი ხნის წინ ის რამდენიმე სარეკლამო რგოლში გადაიღეს.

კონკურსში მეორე ადგილი 22 წლის ტეხასელმა იულიანა გუერამ დაიკავა. სულ კონკურსში 50 შტატის და დედაქალაქის კოლუმბიის ოლქის 18-დან 27 წლამდე ასაკის გოგონა მონაწილეობდა.

## გაუჩინარებული ბილეთები ვაკის პარკში



11 აგვისტოს თბილისი ევროპის სუპერთასს უმასპინძლებს. ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ბარსელონა" და ევროპის ლიგის მომგები „სევილია" შეხვდებიან.

კვირას, 20 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ბილეთების გაყიდვა. წესით ეს პროცესი 12 საათი უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ისევ უნიათობის, უამრავი შეცდომისა და უპასუხისმგებლობის გამო გაიწელა. პროცესი კვირას 9:00 საათზე დაიწყო და ორშაბათს, 06:30 წუთზე დასრულდა.

ბილეთების გაყიდვის დასრულების მერე, ის გულშემატკივრები, ვისაც ბილეთები წილად არ ხვდათ, უკმაყოფილო დარჩნენ. გაყიდვის 20-საათიანი პროცესის ბოლოს, უბილეთო გულშემატკივრებმა ფეხბურთის ფედერაცია ათასობით ბილეთის მითვისებაში დაადანაშაულა.

უბილეთოდ რამდენიმე ათასი ადამიანი ფეხბურთის ფედერაციასთან მივიდა და უკმაყოფილება ხმამაღლა გამოხატა. ცხადია, უცენზურო სიტყვებითაც, თუმცა ყველაფერი მალევე ჩაწყნარდა.

რატომ გაიწელა პროცესი და რა იყო ხალხის უკმაყოფილების საბაბი, ეს ცალკე თემაა: უნდა ემუშავა 12 სალაროს, მაგრამ მალევე გაფუჭდა 8 კომპიუტერი და მუშაობა მხოლოდ 4 სალარომ გააგრძელა, გაითიშა ელექტროენერგია, გარკვეული დროის შემდეგ მუშაობა დიზელ გენერატორის დახმარებით გაგრძელდა, პრობლემა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## იუმორი



ანეკდოტები

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— იცი, ვინ იკავებს ყველაზე დიდხანს სუნთქვას?

— ვინ?

— აი, ის ქალი, 20-თეთრიანი ტუალეტის წინ რომ ზის...

●●●

ინგლისელი, ფრანგი და ქართველი ქალები საუბრობენ. ინგლისელი ამბობს:

— მე ჩემს ქმარს პირველივე დღეს გამოვუცხადე, რომ სახლში არაფრის გამკეთებელი არ ვიყავი. გავიდა ერთი დღე, არ ჩანს, გავიდა ორი — არ ჩანს, მესამე დღეს რაღაც რობოტი მოიტანა და მას შემდეგ ის აკეთებს სახლში ყველაფერს.

ფრანგი:

— მეც გამოვუცხადე ჩემს ქმარს, რომ სახლში არაფრის გაკეთებას არ ვაპირებდი. ერთი დღე არ გამოჩენილა, არც მეორე დღეს მოსულა, მესამე დღეს მოსამსახურე მოიყვანა, ის აკეთებს სახლში ყველაფერს.

ქართველი:

— მეც გამოვუცხადე ქმარს, რომ სახლში არაფერს გავაკეთებდი. ერთ დღეს არ ჩანდა, არც მეორე დღეს, მესამე დღეს მარჯვენა თვალიდან ცოტა გამოჩნდა...

●●●

თანამედროვე სიტუაცია. შვილი მამას ეუბნება:

— მამი, ცოლი მოვიყვანე!

— ვაა... გილოცავ, შვილო! ბიჭია, თუ გოგო?

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

— შენ წერეთელი უფრო მოგწონს თუ ჭავჭავაძე?

— რა თქმა უნდა, ჭავჭავაძე...

— ალბათ, კახელი ხარ.

— არა, იმერელი ვარ.

— მაშინ წერეთელს ჭავჭავაძე რატომ გირჩევნია?

— ჭავჭავაძე მაინც ვაკეა, რა...

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## მშიერმა ლაბრადორმა თმის ბაფთები და საცვლები შეჭამა



აშშ-ში მშიერმა ლაბრადორმა, სახელად ტიკიმ, 62 ცალი თმის ბაფთა, 8 წყვილი ქვედა საცვალი და ბინტი შეჭამა. ყველა ეს ნივთი პენსილვანიელმა ვეტერინარმა ოპერაციის შემდეგ ძაღლის კუჭიდან ამოიღო.

როგორც ვეტერინარულ კლინიკაში განაცხადეს, ტიკი არ რეაგირებდა გულის ასარევ, დიარეისა და მადის დასაკარგ წამლებზე. რენტგენმა აჩვენა, რომ ძაღლის კუჭში რაღაცა იყო, რის გამოც მისთვის ოპერაციის გაკეთება გადაწყდა.

პროცედურა ორ საათს გრძელდებოდა. ექიმები შოკირებული აღმოჩნდნენ იმით, რაც მათ ტიკის კუჭში აღმოაჩინეს.

ძაღლის რეაბილიტაციამ წარმატებით ჩაიარა. ტიკის პატრონის თქმით, მისი საყვარელი ცხოველი ძალიანაა გატაცებული ისეთი ნივთებით, რომლებიც ჩვეულებრივ საკვები დანიშნულებით არ გამოიყენება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ანრი ჯოხაძე რუსეთში დააკავეს



ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ანრი ჯოხაძე რუსეთში დააკავეს. ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

— საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ვარ დომოდედოვოს აეროპორტში მესაზღვრეების მიერ დაკავებული, რუსეთის ვიზის არქონის გამო და ვერც გავაგებინე, რომ ტრანზიტით ვარ. არ ვიცი, რა გავაკეთო. თუ ვინმეს შეგიძლიათ, დამეხმარეთ თავი დავაღწიო ამ გაუგებრობას, — დაწერა მომღერალმა.

ანრი ჯოხაძე ბელარუსში კონკურსზე „სლავიანსკი ბაზარ" იმყოფებოდა. მასთან ერთად მინსკში იყვნენ მომღერალი კაკი ბოლქვაძე და მსახიობი გიორგი გასვიანი. როგორც გიორგი გასვიანი განმარტავს:

— ანრი იქს ფაქტორზე უნდა ჩასულიყო და ამიტომ ტრანზიტულად მოფრინავდა მოსკოვის გავლით. გადაჯდომით. იქ საზღვარზე გააჩერეს და არ გამოუშვეს თბილისში. ახლა უნდა გადმოფრინდეს ისევ კიევიდან ან მინსკიდან. საქმე იმაშია, რომ ტრანზიტულად არ გაატარეს და იქს ფაქტორსაც ვერ ჩაუსწრო, რომ აგვიანდებოდა, ამიტომ მოფრინავდა მოსკოვის გავლით ადრე.

ანრიმ „იქს ფაქტორის" ნახევარფინალამდე დიდი გასეირნება მოიწყო. მომღერალი კრუიზში იმყოფებოდა ნინო ჩხეიძესთან და ლელა წურწუმიასთან ერთად, საიდანაც ბელარუსში ქართველი კონკურსანტის სოფი სააკაშვილის სავულშმატკივროდ ჩავიდა, იქიდან მოსკოვში აღმოჩნდა და პრობლემებიც დაიწყო.


კერძო სახლების მშენებლობა საქართველოს მასშტაბით!!! 1მ2-350$ (სრული თეთრი კარკასი)

სამშენებლო კომპანია LAVA BUSINESS"

პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია ლავა ბიზნესი":

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის საადაზღვევო გარანტია.

რას გულისხმობს სრული თეთრი კარკასი:

1. „მოჭიმული იატაკი" ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
2. ბინის შიდა პერიმეტრი ტიხრებით მოწყობილი;
3. ბინის შიდა პერიმეტრის შელესვა;
4. ელ.გაყვანილობა ძირითად წერტილებამდე;
5. მეტალო-პლასტმასისალუმინის კარ-ფანჯრები ორმაგი შემინვით — გარე პერიმეტრზე;
6. რკინის კარი შესასვლელში;
7. სანტექნიკური დგარები;
8. ბუნებრივი აირის მილის დგარების გაყვანა;
10. კიბის უჯრედის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. მეტალოკრამიტის სახურავი:
12. გარე ფასადის შელესვა-შეღებვა.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business






## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ესპანელი მწერალი; 2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 7. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 9. ქართული ლუდი; 13. განსაკუთრებული პირობითა და ვადით გაცემული თანხა; 17. ცხენების ჯოგი; 18. ფუტკრის სადგომი.

**თარაზულად:** 1. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. მუსიკალური ნაწარმოები; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 11. ოპერა „ჯამბაზების" პერსონაჟი; 12. მინერალი, მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 14. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 15. გურიაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

